ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 41 (1326) | 16-22 ოქტომბერი, 1992 წ.

ვულოცავთ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევას!

პარლამენტის თავმჯდომარის 'მოსწრებული ხუმრობა

ბატონმა ე. შევარდნაძემ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე დაახლოებით ასეთი რამ თქვა:

— ბატონო კანდიდატებო, ვინც პარლამენტს გარეთ დარჩით, გთხოვთ, ნუ მოაწყობთ საპროტესტო გამოსვლებს და ნუ დაჭამთ ერთმანეთს, დადებითნიშნიანი კანდიდატებისთვის ფასიან, კომერციულ პარლამენტს გავხსნით.

არჩევნები დამთავრდა. ამუშავდა ცოცხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს

ზეცას მიდიან საქართველოს დიდი მხედრები

თითქმის ახლახანს იყო, სწორედ ამავე სათაურით დაწერილი წერილებით ბესიკ ჭუთათელაძეს რომ გამოვეთხოვეთ და ვაგლახ, რომ კიდევ გვიხდება აფხაზეთში გმირულად დაღუპული ბოჩა ნოდარის ძე ყარყარაშვილის დატირება.

აი, რა მოასწრო ამ ოცდაშვიდი წლის კაცმა:

დაიბადა 1965 წლის 19 თებერვალს.

1971—81 წლებში სწავლობდა თბილისის მე-2 საშუალო სკოლაში.

1984—86 წლებში სამხედრო სამსახური გაიარა ვოლოგდის ოლქში, კაპუსტინ-იარში.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ 1990 წლამდე ლეიტენანტის ჩინით მუშაობდა მილიციაში, რომელიც შემდეგ მიატოვა და ეროვნულ მოძრაობაში ჩაება. ამასთან სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1991 წლის 2 თებერვლიდან შევიდა ეროვნულ გვარდიაში.

1992 წლის 8 სექტემბერს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

გოჩა ყარყარაშვილი თავის ძმასთან ერთად იყო სპეცდანიშნულების ბატალიონის „თეთრი არწივის“ დამაარსებელი, იყო მეთაურის მოადგილე, უკვე მეთაურად წარდგენილი ძმის მაგივრად.

1989 წლიდან სიკვდილამდე მონაწილეობდა თითქმის ყველა ბრძოლაში თუ შეტაკებაში — მარნეულში, სამაჩაბლოში, აფხაზეთში, კვლავ სამაჩაბლოში, თბილისში და ბოლოს ისევ აფხაზეთში. ამ ბრძოლებში თავი ისახელა როგორც შეუდრეკელმა მებრძოლმა და ისეთმა მეთაურმა, ჯარისკაცები მასთან ერთად რომ ნატრობდნენ ბრძოლას.



1992 წლის 5 ოქტომბერს დაიღუპა ტყეში, სადაც აფხაზმა სეპარატისტებმა და მათგან დაქირავებულმა მთიელთა კონფედერაციის და კაზაკმა მკვლელებმა გაანადგურეს სპეცდანიშნულების ბატალიონი „თეთრი არწივი“. ამ დროს, როგორც ზემოთ ითქვა, გოჩა ყარყარაშვილი ამ ბატალიონს მეთაურობდა და მის მებძოლებს არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაუხევიათ, მტრის ტყვიისთვის ზურგი არ მიუშვერიათ...

გოჩა ყარყარაშვილის ოჯახის წევრებისა და ყველა ნათესავ-მეგობრის გარდა, განსაკუთრებული სამძიმარი უნდა ვუთხრათ გია ყარყარაშვილს, საქართველოს კიდევ ერთ დიდ მხედართაგანს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მსგავსად სამშობლოსათვის თავდადებულ, მისი ინტერესებისათვის მებრძოლ ვაუკაცს, სწორედ ქაქუცა ჩოლოყაშვილივით რომ მარხავს მტრის ტყვიით განგმირულ საფიცარ ძმას.

მამულისათვის გოჩა ყარყარაშვილის მსგავსად გმირულად დაცემული ვაუკაცები ყველა ქართველი მეომრის გულის ფიცარზე ამოსაკვეთ, დაუწერელ კოდექსად ქცეულ სტრიქონებს გვახსენებენ:

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

«ავაზა» ისევ დაბრუნდება აფხაზეთში

(ჯგუფური პორტრეტი სასტუმრო „ბახტრიონის“ ინტერიერში)

თბილისში, სასტუმრო „ბახტრიონში“ დაბინავდნენ ადლერიდან ჩამოფრენილი თავდაცვის სამმართველოს ბატალიონის „ავაზას“ გადარჩენილი წევრები.

მებრძოლები ჰოლში სხედან. ზოგს აცვია ფორმა და ზოგს არა, ყველას არ გვქონდაო, მიხსნიან.

მეთაურს ვკითხულობ. მეუბნებიან, რომ კაპიტანი ტრისტან წითელაშვილი შტაბშია წასული და როდის დაბრუნდება, არ ვიცითო.

ოცდათხუთმეტნი გამოფრენილან ადლერიდან. 20—25 კაცამდე ეყოლებათ დაჭრილი, ექვსი მებრძოლი დაღუპვიათ. „ავაზას“ შემადგენლობაში მოხალისეები ეწერებოდნენ აფხაზეთში ყოფნისას და ზუსტი ციფრების დასახელება უჭირთ. ამასთან სამი კაცი ჰყოლიათ უგზო-უკვლოდ დაკარგული.

მოიცა, აგერ ჩვენი ტანკისტი ვალაპარაკოთ, გოჩა თხელიძეო.

ეს ალიაქოთი რომ დაიწყო, ვიდექი სოფელ წითელ ჯვარშიო... იწყებს ის და მაშინვე აწყვეტინებენ, თუ ძმა ხარ, სერიოზულად ილაპარაკეო. ეტყობა, რომ დაძაბულები არიან და შელაპარაკდნენ. მერე ერთმა იხუმრა, ყოჩაღ შენ, ეს „ალიაქოთი“ კარგად რომ გადაიტანეო და ატყდა სიცილი, ოღონდ ჩვეულებრივი კი არა, დაძაბული, ნერვიული...

მერე მომიყვნენ...

ერთი მებრძოლი მაჩვენეს, ხომ ასეთი გამხდარია, ერთ „გრანატამიოტს“ რომ ისროდა, მაშინვე მეორეს დასწვდებოდა ხოლმე, თანაც ზურგით დაჰქონდაო. ვესროდი, მაგრამ რად გინდა, იმ ახალი მოდელის ტანკს „T—80“-ს ვერაფერი დავაკლეიო. მერედა, მუხლუხში ვერ ესროლეო, შეეკითხა ვიღაც. კი ესროლე, მაგრამ ვერაფერი დავაკლეიო.

შენ რომ იცოდე, ამას ველოსიპედით მიჰქონდა ტყეია-წამალი წინა ხაზზეო, სიცილით მეუბნება ერთი ფეხში დაჭრილი მებრძოლი. ჰო, მართლა, მართლაო. ადასტურებს სხვა.

კი, მაგრამ, ვინმე მომმარაგებელი არ გყავდათ მეთქი, ვეკითხები.

არა, არავინო.

ჰო, ველოსიპედით დავდიოდი წინა ხაზზე, მერე ვიღაცამ მომპარაო.

ის როგორ იყო, სნაიპერმა რომ „პაკრიშკა“ გაგიხვრიტაო, ეხუმრება ერთი.

ეჰო, დარდობს ჭურვმტყორცნელი, მერე ის ველოსიპედი ვიღაცამ მომპარაო.

ჩვენ რომ ვართ, ეს ჯარი არ არისო, უკვე სერიოზულად ამბობს ერთი უფორმო მეომარი და დანარჩენებიც უდასტურებენ; უდისციპლინობა იყოო; ერთიანი ხელმძღვანელობა არ გვყოლიაო; ეგ რად გინდა, კავშირი არ იყო, არც ერთი რაცია არ მუშაობდაო; ჩვენთვის გამოყოფილი ბენზინი და სიგარეტი ვერ აღწევდა ჩვენამდე — ყიდდნენ თუ რას უშვრებოდნენ, რა ვიცითო; ზოგს თითო, ზოგს ორი ავტომატის ვაზნაკოლოფი ჰქონდა, კაი ხანს ვტენიდით ხოლმე შუა ბრძოლაშიო.

დახვრეტილები ხომ არ გინახავთ მეთქი.

მეო, მე ვნახეო, მითხრა წვერმოშვებულმა „ავაზელმა“, მაგას რა დამაკვიწყებს. უკან რომ ვიხევდით, გაგრაში ვნახე დახვრეტილი დედა-შვილი, ბავშვს ღია დარჩენოდა თვალები, ასე ხუთი-ექვსი წლის იქნებოდაო.

შეტევა რომ დაიწყო, სად იყავით მეთქი.

გაგრის ზემოთ, პოზიციაზე ვიყავით, მასირებული შეტევა რომ დაიწყო — მიამბობს სხვა მებრძოლი. — უკან დახევა დავიწყეთ. ყველაზე ბოლოს ჩვენ მოვდიოდით. განთიადი უკვე ალებული იყო, გვერდი ავუარეთ, ჩამოვედით სოფელ წალკოტში და იქიდან საგზაო ტრასით გავაღწიეთ საზღვრამდე.

რუსებმა როგორ მიგიღეს მეთქი.

მაგათზე აბა რა უნდა ვთქვათ, ის ახალი მოდელის ტანკი საიდან ჰქონდათ აფხაზებს, თუ არა მაგათგან. ისე კი კარგად მიგვიღეს, გვაჭამეს, კლუბში დაგვაძინეს და მეორე დღეს კი თვითმფრინავით გამოგვიშვეს.

ბოლოს, ვიდრე წამოვიდოდი, დამაბარეს — ისიც აუცილებლად დაწერე, რომ ჩვენ აქ დიდხანს არ გავჩერდებით, ისევ აფხაზეთში წავალთო!

ლუკა მაკაბელი

„ადამიანი შეიძლება გაანადგურო, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია“

(შეხვედრა აფხაზეთიდან ლტოლვილ ქართველებთან)

სასტუმრო „ივერია“, სადაც არც თუ შორეულ წარსულში ქართველ კაცს ერი და ამის გათვეკაც კი სანატრელი ჰქონდა, დღეს ქართველი ხიზნებით არის სავსე. აფხაზთა, ჩრდილოელკავკასიელთა და რუსთა ინტერვენციამ პირდაპირ მათ გულებზე გადაიარა; მომხვდურებმა დაუნგრიეს და დაუწვეს ჭაპანწყვეტით ნაგები სახლ-კარი, წაართვეს საჩრო-საბადებელი და საკუთარ მიწა-წყალზე ლტოლვილებად აქციეს.

თუმცა სიტყვა „ლტოლვილს“ პოლიტიკური მოსაზრებებით ოფიციოზი მათ არ უწოდებს, სანაცვლოდ „იძულებით გადაადგილებულებს“ ხმარობენ, აქაოდა ლტოლვილი ხხეიხი მიწიდან წამოსულს ნიშნავს, აფხაზეთი კი ჩვენი მიწაა. ასე იცავენ და უფრთხილდებიან აფხაზეთის ქართველთა უფლებებს თბილისში! თუმცა, ამას აჯობებდა მათი უფლებებიცა და სტატუსიც იქ დაეცვათ, სადაც ისინი 4—5 ოქტომბრის ტრაგედიამდე ცხოვრობდნენ...

სიცოცხლეგამწარებული ადამიანები სასტუმროს ჰოლში ირევიან, ანუგეშებენ და ამხნევებენ ერთმანეთს. ახალჩამოსულთაგან გებულობენ შემაძრწუნებელ ამბებს: გაგფორებული აფხაზები და გადამთიელები არ ინდობენ ქართველებს, ანგრევენ, ძარცვავენ, წვავენ, კლავენ, აუპატიურებენ...

იმ განსაცდელის მიუხედავად, რაც განგებამ და უპასუხისმგებლო ომმა დაატეხა თავს, მათ სახეებზე ვერ ამოიკითხავთ სასოწარკვეთასა და გულგატეხილობას.

აქ არც ერთი ლტოლვილთაგან არ ჩივის პირადულზე, თავის გასაჭირზე.

ჟურნალისტებთან შეხვედრაც მხოლოდ იმიტომ მოითხოვეს, რათა მასობრივი ინფორმაციის მეშვეობით სიმართლე გაიგოს ქვეყანამ. ის საშინელი სიმართლე, რომლის თვითმხილველნი და მსხვერპლი შეიქნენ ეს უღანაშაულო ადამიანები, სიმართლე, რომლის დაფარვას და გადასხვაფერებასაც ასე ცდილობენ ჩვენი მტრების მეგობრები მოსკოვში და საზღვარგარეთ.

თემურ ცანავა ლესელიძიდან — ეს არის მუსლიმანთა ბრძოლა ქრისტიანების წინააღმდეგ. ისინი არავის ინდობენ... მათ ერთმორწმუნე რუსებიც ხელს უმართავენ. სწორედ მათ მისცეს აფხაზებს ძმიე საბრძოლო ტექნიკა და იარაღი. ჩვენი ჯარები კი არასწორად მოქმედებდნენ ბოლო დღეებში. მათ არაფერი იღონეს იმისათვის, რათა მტრის ტექნიკა გაენადგურებინათ და წინსვლის საშუალება არ მიეცათ. ჩვენსა, მოხალისეთაგან შემდგარმა, ხუთკაციანმა ჯგუფმა შეძლო სტრატეგიულ დანიშნულების ხიდის აფეთქება, 1000-მდე ჯარისკაცმა კი ეს, რატომღაც, ვერ შეძლო...

ყველაზე უფრო მეტად გულს ის მიკლავს, რომ სამარცხვინოდ დავმარცხდით... ეს იყო ნამდვილი ღალატი... ჩვენი ჯარისკაცები გარბოდნენ ბრძოლის ველიდან და მტერს უტოვებდნენ იარაღს. იმ იარაღს, რომელიც ჩვენთვის მოსაცემად არ ჰყოფნიდათ. მირბოდნენ და თავს ველოდნენ, იმას კი არავინ ფიქრობდა, რომ მათ უკან რჩებოდა ქართული მოსახლეობა... მაგრამ რაც მოხდა — მოხდა, ახლა მაინც ერთმანეთის გვერდით უნდა დავდგეთ და ვებრძოლოთ მტერს. ჩვენ არ უნდა დავუშვათ გაგრის ვარიანტი განმეორდეს სოხუმშიც! მოგვცენ იარაღი და ვიბრძოლებთ, აქ ყოფნა არას გვარგებს...

ანატოლი კაკუბავა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი — ის უბედურება, რაც აფხაზეთში დატრიალდა, სათავეს 1978 წლიდან იღებს. დაწყებული იქიდან, ჩვენ გვქონდა ცნობები იმის თაობაზე, რომ აფხაზები იარაღდებოდნენ. ყოველივე ამის შესახებ ჩვენ ვაცნობებდით საქართველოს მთავრობას. მაგრამ ნაცვლად საჭირო ზომებისა, მთავრობა მიდიოდა გაუმართლებელ დათმობებზე. თავის დროზე საქართველოს მთავრობამ ყურიც არ ათხოვა ჩვენს გაფრთხილებას, უფრო მეტიც, მტრებად გამოგვაცხადა და გაგვაციმბირა. რაც 1992 წლის აგვისტო-ოქტომბერში მოხდა ლოგიკური შედეგია იმ წაყრუების პოლიტიკისა, რასაც ადგილი ჰქონდა არც თუ შორეულ წარსულში...

რაც შეეხება აგვისტო-ოქტომბრის ამბებს. ქართული ჯარების მხედართუფროსებთან საუბრის შემდგომ მჯეროდა, რომ ბოლო წუთებამდე არ დავტოვებდით გაგრას. ეკლესია აეკადგინეთ, სკოლაში სწავლა დავიწყეთ... როცა თავდასხმის საფრთხე საგრძნობი შეიქნა, მე მივმართე პოლკოვნიკ მარინაშვილს, რა ვიღონოთ-თქო. მან მომიგო, ხალხს არაფერი დაუშავდება, საშიშროება არ არსებობს, გაგრაში ჩიტიც ვერ შეიფრინდებაო. ჩვენ ბოლო წუთებამდე ვიდექით (ამ დროს, ბატონ კაკუბავას ერთმა ქალბატონმა მიაძახა — შენც მარინაშვილთან ერთად გარბოდი ბრძოლის ველიდანო — კ.ლ.)... ჩვენ უნდა მოგვცეს იარაღი. ჩვენი ადგილი „ივერიაში“ არ არის...

კარლო ქოჩიანი — განგაში უნდა აგვეტეხა მაშინ, როცა დრო იყო. 2 ოქტომბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბატონმა თ. კიტოვანმა ბრძანა, რომ სახელმწიფო საბჭოს ზოგიერთმა წევრმა გვაიძულა შეგვწყვეტა წინსვლაო. უნდა გაირკვეს სახელმწიფო საბჭოს ამ წევრთა ვინაობა და 4—5 ოქტომბრის გაგრა-კოლხიდა-ლესელიძის ტრაგედიის მისზეები...

შოთა ფაჩუაშვილი, გაგრის რწმენებულის თანაშემწე — პირველი ოქტომბრის ჩათვლით არაერთხელ ვაცნობებდი სიგუას, ითელიანს და კიტოვანს, რომ ჩვენი ჯარების რაოდენობა სახიფათო ზონებში კლებულობდა (1700 კაციდან ბოლოს 700 კაცილა დარჩა), ხოლო მტრის ჯარები მატულობდა. (შეტევის წინ მათ 7000-მდე მებრძოლი ჰყავდათ). სიტუაცია ღღითიღღე საგანგაშო ხდებოდა, მიუხედავად ამისა, გვაშვებდნენ, ჩვენთან ჩიტიც ვერ შეიფრინდებაო, ამ დროს კი ქართველი ჯარისკაცები უკან იხევდნენ...

ამირან მაისურაძე: ქართველები გაწირულები ვიყავით... მაგრამ მომხდარს არაფერი ეშველება. მოგიწოდებთ ჟურნალისტებს, ინახულოთ საავადმყოფოში დაჭრილები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან და თანადგომა ესაჭიროებათ...

ბორის ვიბლიანი, სოფელი სალხინო, გაგრის ზონა — გუშინ როგორც იქნა დიდი წვალების ფასად ჩამოვაღწიე, აღლერის მხრიდან. რაც მოხდა, [illegible] დამწაავა ჩვენი [illegible] კომპეტენტური სამხედრო ხელმძღვანელობა ეს იყო სრული ღალატი, სხვა სახელი საწუხაროდ, ამას არა აქვს. რატომ არ გაგვაფრთხილეს ხალხი, როდესაც მოსალოდნელი იყო ასეთი საშინელი ამბები?! ქართული სოფლები დაცლილია, ქართველთა სახლების 80-პროცენტი დანგრეულია; საქონელი გაიტაცეს, სარჩო-საბადებელი [illegible] ზიდეს... რამდენიმე ქართული [illegible], რომლებიც ბოლო წუ[illegible]ამდე ებრძოდა მტერს, ტყეშია გ[illegible]ნული. მათზე გაცხოველებული ნადირობა მიმდინარეობს გადამთიელების მხრიდან. მათ დახმარება და გამაგრება ესაჭიროებათ...

ორნაირი გრძნობით ებრუნდებით ამ შეხვედრიდან — ხირცხვილისა და სიამაყის გრძნობით. უკანასკნელ ნერვამდე მრცხვენოდა იმ ამბავთა მსმენელს, რაც ჩვენი ბედოვლათობის გამო დატრიალდა ოქტ[illegible]ბრის დასაწყისში გაგრაში, ლ[illegible]ეიძესა და კოლხიდაში. ორ[illegible]ად მრცხვენოდა, მოტყუებული [illegible] იმედგაცრუებული თანამოძმეების თვალებში შეხედვისა, რომელთა დღეგანდელ უნუგეშო ხვედრში საქართველოს ბედუკულართობაც იკითხება.

მაგრამ, ამავე დროს, სულის სიღრმემდე მეამაყებოდა ის ფაქტი, რომ ენითაუწერელი ტკივილისა და წყენის მიუხედავად სიცოცხლეგამწარებულ ლტოლვილებს არ დაუკარგავთ სულგრძელობა და სულიერი მხნეობა. მათ შეეხედვარეს მახსენდებოდა ჰემინგუეის უკვდავი სიტყვები: „ადამიანი შეიძლება გაანადგურო, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია“. ორმაგად მეამაყებოდა მათი ეს დაუმარცხებელი ქართული სულისკვეთება, რომელშიც საქართველოს მომავალი ძლიერება იკითხება.

კობა ლიკლიკაძე

ქართველობა არასოდეს არ გადაშენდება...

დღეს, ალბათ, როგორც არასდროს, უჭირს საქართველოს.

გადაბრუნდა ქვეყანა. გაცოცხლდნენ შაჰ-აბასები და თემურ-ლენგები.

აფხაზეთის პრობლემა დადგა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით...

ქარიშხალმა გადაუარა საქართველოს. ქუდზე კაცი დადგა. საქართველოსთვის შეფიცულმა შვილებმა დაადასტურეს, რომ საქართველო ცოცხალია. მარადიულად იცოცხლებს. არ აპატიებს ძმის მკვლელს, „ვეფხისტყაოსნის“ გამთელველს.

კვლავ ცრემლები... ყვავილები... მარადიული ხსოვნა... მოგონება...

ისტორიამ კიდევ მრავალი „საშვილიშვილო სამარე“ შესძინა საქართველოს...

მაგრამ ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ არცერთი სიკვდილი არ არის სიკვდილი, რადგან ყოველი სიკვდილი აღებს ახალ კარიბჭეს — ეს დღესასწაულია. არ არსებობს სიცოცხლის დასასრული. იგი ყოველთვის რაღაცა ახლის დასაწყისია, მკვდრეთით აღდგომაა.

სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა და მერე დედა და მამა. და საერთოდ, რა არის სიცოცხლე?

სიცოცხლე, ჩემის ღრმა რწმენით, ოცნებაა, რომელიც სინამდვილისგან დიდად განსხვავდება. და თანაც, „სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს, შეხის გავარდნას ჰგავდეს სიკვდილი, მტერიცა გყავდეს, მოყვარეც გყავდეს, მაგრამ არც ერთთან ჭამო სირცხვილი...“

მათაც ჰყავდათ მტერიც, მოყვარეც, დედაც, სატრფოც, შვილებიც...

წავიდნენ და თან წაიღეს კაცური კაცის სახელი, დედის იმედი, შვილების უზომო სიყვარული, და კიდევ...

... მათაც უნდოდათ სიცოცხლე, სიხარული, სიყვარული, თბილი კერია. ვერ მოესწრნენ, წავიდნენ. წავიდნენ დღევანდელი „ლიმილის ბიჭები“ და დარჩათ ბევრი აუხდენელი ოცნება, სურვილი, მაგრამ მათთვის მთავარი მაინც დედასამშობლო იყო. სამშობლო, რომელიც „მათ ხსოვნას სანთლებად აინთებს...“

„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა“, — ეს იყო თითოეულის გულისთქმა, და ისინიც იწვოდნენ, დნებოდნენ, იღვენთებოდნენ სამშობლოს სიყვარულში.

ამ მამულისთვის გულანთებულ რაინდებს ერთი შთაგონება გააჩნდათ: „შენი ადგილი აქაა! ამისთვის დაბადებულხარ!“

და რაც გუშინ, გუშინწინ აფხაზეთში მოხდა, ის უკვე ისტორიის საკუთრებაა. ისტორიისა, რომელიც პირუთვნელად განსჯის მტყუანსა და მართალს და თავის ადგილს მიუჩენს.

`დღეს კი ბევრს ვკამათობთ იმის შესახებ, თუ რა არის საქართველოს უბედურების მიზეზთა მიზეზი, საიდან უნდა დაიწყოს აღორძინება? რა გადაგვარჩენს? რას მივხედოთ უწინარეს ყოვლისა? საით მივდივართ? რა მოგველის? რას უქადის ჩვენს ქვეყანას სულის გაბინძურება?

საერთო შენდობისა და მიტევებისთვის` უნდა ვილოცოთ. ღმერთმა ყველა მონანიების მადლით აღგვავსოს და ახალ ცოდვათაგან გვიხსნას. სწორედ ამ ძნელბედობის ჟამს გვმართებს ერთსულოვნება, გონიერება, ერთ მძლავრ მუშტად შეკვრა. ხალხის გულს ისე არაფერი ახარებს, როგორც თავისი სახელოვანი შვილების ერთად ყოფნა, ურთიერთსიყვარული, ძმობა, ერთობა, შერიგება და ვაჟკაცური დამთმობობა.

შექმნილ ურთულეს ვითარებაში ქართველ ერს და საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს მართებს თავშეკავებულობა, ჩვეული გონიერება, რათა შეძლონ წინ აღუდგნენ მათ, რომელნიც ცდილობენ ურთიერთმტრობა ეროვნულ ტრაგედიაში გადაზარდონ.

თითოეული ჩვენგანისათვის საქართველო უნდა იყოს ზრუნვა, რუდუნება, მისი ყველა სატკივრის გულთან მიტანა. ურთიერთპატივისცემამ, პატიოსნებამ უნდა გადაგვარჩინოს! ისე არაფერი გამოვა. არაფერი შეიცვლება!

ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საჭიროა პატივი ვცეთ ერთმანეთს, ყურადღებით მოვუსმინოთ, გავიზიაროთ ერთმანეთის აზრები. ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს „ვისი გორისანი ვართ...“

ჯერ კიდევ აქტუალურია სერვანტესის ბრძნული სიტყვები, დაუფიქრებლად ლაპარაკი იგივეა, რაც დაუმზნებლად სროლაო.

აი, რაზე გვმართებს დაფიქრება დიდსა და პატარას!

დღეს, ისე როგორც არასდროს, გვმართებს სიბრძნე და გონიერება.

დროა, მოვეგოთ გონს. დროა, ავმაღლდეთ საკუთარ ვნებებზე. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს არ არსებობს შენი და ჩემი საქმე. არსებობს საერთო დიდი საქმე და არაფერი არ უნდა დავიშუროთ ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად. ამ ბრძოლაში მფმავალთ გზას უნდა გვინათებდეს სამი საუნჯე: ენა, მამული, სარწმუნოება.

ქართველებო, ვიყოთ ერთად, რათა გადავარჩინოთ საქართველო!

მე კი ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ სიძულვილის სამყარო დაემხობა და, ბოლოს და ბოლოს, ადამიანები განიმსჭვალებიან ერთმანეთის სიყვარულით. რწმენითა და ნუგეშით გაჰყვებიან სამომავლო გზას.

და მე ამ წუთს შეგონდება ლადო ასათიანის ვნებათაღელვის აღმძვრელი სიტყვები:

„გიმზერ და მჯერა, რომ ქართველობა
არასოდეს არ გადაშენდება!“

რუსუდან ჭიჭილეიშვილი

სტუდენტი.

მოხალისენი ომში მიდიან...

სანამ დროა...

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველო თითქმის არ ყოფილა ისეთ რთულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში, როგორც ახლა. რუსეთის იმპერიამ, ჯერ ცარიზმის, ხოლო შემდეგ სოციალიზმის სახით, გარდა პოლიტიკური ოკუპაციისა, საქართველოს წინააღმდეგ აწარმოა ღრმად გააზრებული დემოგრაფიული აგრესია, რისი საბოლოო მიზანიც გახლდათ ისეთი კერების შექმნა, რომლებიც აღრე თუ გვიან საშიშროებას შეუქმნიდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

როგორც ხშირად ვამბობთ, იმპერიულმა ძალებმა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგეს ნელი მოქმედების ბომბები, რომელნი საპირთავ პულტთან ერთად არიან მოკალათებულნი.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა წარმოადგენს აღნიშნული ნაღმების ამოქმედებას, რითაც რუსეთის იმპერიის ახორციელებს საკუთარ, ჩვენთვის ბოროტ პოლიტიკას.

საქართველოში კონფლიქტი მძვინვარებს.

მართალია, ღღეს ბევრი რამ შეიცვალა, დიდი მნიშვნელობა მიენიჭა საერთაშორისო აზრს, საერთაშორისო ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან დააკანონებენ საკონფლიქტო სიტუაციები და შეინარჩუნონ სამშვიდობო წონასწორობა, მაგრამ სახელმწიფოს შიდა მოქმედებანი თავად სახელმწიფოს დარეგულირებელია. ანუ, ჩვენი საქმე ჩვენ უნდა ვაკეთოთ. სახელმწიფო თუ სიტაცლისუნარიანია, უნდა შეძლოს სამართალი ოჯახის მოვლა. წინააღმდეგ მოთხოვნაში იგივე საერთაშორისო გადაწყვეტილებანი ჩვენს უსუსურობაში. უსუსურს შეიძლება გაეწიოს ფინანსური დახმარება, მაგრამ ძლიერ ამა ქვეყნისა იმ სახელმწიფოს, რომელიც თავის თავს ვერ უვლის, არ გაიზიარ თანასწორუფლებოვანს.

გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტებიც:

რუსეთი, რაგინდ დემოკრატიული უნდა იყოს, თავისი ბუნებით მაინც იმპერიის ერია, ანუ რუსეთს აქვს გამარი შოვინიზმი და იმპერიალიზმი.

თანაც, ისტორიულად ცნობილია, რუსეთის არც თუ სასიკეთო დამოკიდებულება კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს მიმართ.

მეორეც, საქართველოს ის მხარეები, სადაც ძძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა, ემიჯნება ისეთ ქვეყნებს თუ ხალხებს, რომლებიც სისხლისმიერ კავშირში იმყოფებიან საქართველოს ამ მხარეებში მცხოვრებ ხალხებთან.

თანაც, ჩვენს მეზობლებს გააჩნიათ ტერიტორიული პრეტენზიები.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა, სოციალურმა და მორალურმა სიტუაციამ უარყოფითად იმოქმედა ქართველი ერის ფსიქოლოგიაზე, მის სულიერ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ეროვნული თვითშეგნების დონეზე. „ინტერნაციონალიზმი“ დააშინა და გადაგვარა ქართველთა შეგნება, სახელდობრ, ვიყავით რა ყოველივეს მოწმენი, ხმას არ ვიღებდით, ემანდ, შოვინიზმი და ნაციონალიზმი არავინ დაგვბრალოსო.

ბოლო წლებში ქართველობაში იკლო შობადობამ, იმატა სიკვდილიანობამ, დავკვირდეთ ქვემოთ მოყვანილ სტატისტიკას — შობადობის, სიკვდილიანობისა და ბუნებრივი მატების საერთო კოეფიციენტს 1989 წლის მიხედვით (მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე):

	დაბადება	სიკვდილიანობა	ბუნებრივი მატება
ქართველებში	16,0	8,4	7,6
სომხებში	18,5	10,1	8,4
აზერბაიჯანელებში	28,6	5,8	22,8
რუსებში	11,2	13,3	-2,1

როგორც ვხედავთ, მხოლოდ რუსებს „ეჯობიენთ“ ჩვენსავე მიწაზე.

ყოველ ერს, მათ შორის ქართველებსაც, გაგაჩნია სრული უფლება ვიყოთ უმრავლესობა ჩვენსავე ტერიტორიაზე და ამ გზით მივაღწიოთ სახელმწიფოებრივ თავისუფლებას და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. რუსეთმა დაარღვია ეს პრინციპი დაბოლო მოუღო ერთა თანაცხოვრების ტრადიციულად ჩამოყალიბებულ ჩაოდენობრივ ბალანსს.

აქვე აღვნიშნავ, ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ზუსტად გაორმაგდა აზერბაიჯანელთა რაოდენობა საქართველოში. შემდგომ გაორმაგებას ოცდაათი წელი აღარ დასჭირდება.

კვლავ დავუბრუნდეთ ციფრობრივ მონაცემებს და გადავხედოთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონებს.

საქართველოს მოსახლეობის აღწერის (1989 წ.) მიხედვით ბოლნისის რაიონში ცხოვრობს 81 547 ადამიანი, ამათგან 53 808, ანუ 66,0 პროცენტი — აზერბაიჯანელი, 17 688, ანუ 21,7 პროცენტი — ქართველი, ხოლო 6,8 პროცენტი — სომეხი.

დმანისში სულ სახლობს 51 844 ადამიანი, ამათგან აზერბაიჯანელი 33 107, ანუ 63,9 პროცენტი, ქართველი 14 580, ანუ 28,1 პროცენტი.

დაბოლოს, ისტორიულ სამარეთიანოში — მარნეულის რაიონში — ცხოვრობს 120 394 ადამიანი, ამათგან 91 923, ანუ 76,3 პროცენტი — აზერბაიჯანელი, 12 581, ანუ 10,4 პროცენტი — სომეხი და 7 805, ანუ 6,5 პროცენტი — ქართველი. სავალალო დემოგრაფიული მდგომარეობაა გარდაბანშიც, სადაც ქართველობა მხოლოდ 2 პროცენტითაა მეტი აზერბაიჯანელ მოსახლეობაზე.

დასახელებული რეგიონები საქართველოს სასაზღვრო რაიონებია, ხოლო მარნეული და გარდაბანი უშუალოდ ემიჯნება აზერბაიჯანის რესპუბლიკას.

მე-16 საუკუნის აღწერით სამცხე-საათაბაგოში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა — 96 პროცენტი, ქართველობა იყო. ღღეს მდგომარეობა შეცვლილია. ღღეს ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში არსებული სოფლები, რომლებშიც მხოლოდ სომხები ცხოვრობენ, იმავე მე-16 საუკუნის ბოლოს მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. ასეთია სოფელი სხვილისი (ახალციხის რაიონი). ასეთია უწინდელი ქართული სოფლები ვარევანი, ტურცხი, ბურნაშეთი, კარტიკამი, ამული, აზაერეთი და სხვა, რომელთაგანაც ბევრს ქართული სახელიც კი არ შემორჩა.

ამჟამად, ახალქალაქის რაიონში მოსახლეობს 69 108 ადამიანი, ამათგან 63 092, ანუ 91,3 პროცენტი — სომეხია. 3 005, ანუ 4,46 პროცენტი — ქართველი. ბოგდანოვკაში მოსახლეთა რიცხვია — 37 895. სომეხი — 33 964, ანუ 89,6 პროცენტი, ქართველი 454, ანუ 1,2 პროცენტი. ეს რაიონებიც სასაზღვროა და ემიჯნებიან სომხეთს. ახლადფეხადგმულ საქართველოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოვლენებმა თვალნათლივ დაანახა — საჭიროა წინასწარი ქმედებების გატარება, რათა ნაღმები კიდევ არ აფეთქდეს და სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას რაიმე არ დაემუქროს.

წინასწარი ზომების მიღება აგვაცილებს სახიფათო ფაქტების წინაშე ჩვენს დადგომას.

რას ვგულისხმობ ნათქვამში?

უნდა მოხდეს სამცხე-ჯავახეთისა და ისტორიული სამარეთიანოს აღორძინება და განაშენიანება ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

ამ მხრივ ასოციაციამ „ამაღლება“ — „გზა ხსნისა“ უკვე გადაგვა პრაქტიკული ნაბიჯები და ასოციაციის 200 წევრსა და თანამდგომს (თბილისში მცხოვრებთ) ასახლებს მარნეულის რაიონში. საჭიროა ასეთი მოძრაობის გაფართოება და სახელმწიფოებრივ რანგში აყვანა.

აღნიშნული რეგიონები უნდა გადაიქცნენ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერებისა და სულიერ-კულტურული აღმავლობის კერად.

ჩვენი ორგანიზაცია ამუშავებს კონცეფციას სამცხე-ჯავახეთისა და ისტორიული სამარეთიანოს აღორძინებისა და განაშენიანების შესახებ.

კონცეფციიდან ამოძრავებული ელემენტარებში, შეიძლება ... ბელია შემდეგი ღონისძიებანი (მოვიყვანთ რამდენიმეს):

— ქართველი მოსახლეობისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გადაცემა;

— სასაზღვრო ზოლზე ეროვნულ-სამხედრო დასახლებების შექმნა;

— მარნეულის რაიონში რომელიმე უმაღლესის სასწავლებლის გადატანა (მაგ., აგრარული უნივერსიტეტისა);

— ახალქალაქის რაიონში მძლავრი მართლმადიდებლური ეკლესიის კერის შექმნა;

— აღნიშნულ რეგიონებში, საქართველოში არსებული უდედმამო სახლთა გადატანა და აღზრდისათვის შემდგომი ცხოვრების პირობების შექმნა.

ჩამოთვლილი და სხვა ღონისძიებების გატარებისათვის აუცილებელია შესაბამისი ფონდის შექმნა, რომლის დამფუძნებლადაც შეიძლება გახდეს ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს მომავლით. ფონდმა უნდა უზრუნველყოს ამ მამულიშვილურ საქმიანობას.

რაც მთავარია, უნდა აღხდეს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა თანაცხოვრების ტრადიციები, რათა ფონდის საქმიანობას გათვალისწინებული ან გაუთვალისწინებელი გართულებები არ მოჰყვეს.

ყოველივე ამისათვის აუცილებელია, ფონდში ავტორიტეტთა და საჭეში ჩაჯდომილთა მოწვევა, კონსულტაციები, ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ჩვენი ორგანიზაცია დარწმუნებულია, მხოლოდ ასეთი გზით აიცილებს ქართველთა შთამომავლობა იმ საშინელებას, რასაც შინა აშლილობა და სამოქალაქო ომი ჰქვია.

სანამ დროა, ჩვენს თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ და საკუთარი გავაკეთოთ.

ბელა კობაშავიძე
ასოციაციის „ამაღლება“ — „გზა ხსნისა“ პრეზიდენტი

წერილში წამოჭრილი პრობლემებით დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მობრძანდნენ მისამართზე: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. 3, 11 საათიდან 16 საათამდე.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს, ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველკვირეულ გაზეთ „საქართველოს“ 1992 წლის № 40-ში გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო ფრონტის ქიმიის კომისიის წევრის, ქალბატონ რუსუდან დუნდუას სტატია სათაურით „შეწყდეს საქართველოს ძარცვა“, რომელიც შეეხება საქართველოს რესპუბლიკიდან ფერადი ლითონების საზღვარგარეთ გატანის საკითხს.

წერილში დასმული პრობლემის აქტუალობაში ეჭვი არავის ეპარება, რადგან ამ მხრივ რესპუბლიკაში მართლაც კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი. ვფიქრობთ, ყოველივე ამის საფუძველი უფრო ღრმაა და სერიოზული, ვიდრე მხოლოდ ცალკეულ თანამდებობის პირთა, ბიზნესმენთა თუ უბრალო მოქალაქეთა ადვილი გამდიდრების სურვილი. ეს თემა სერიოზულ გაშუქებას მოითხოვს და გვჯერა, იგი აუცილებლად გახდება ახლად არჩეული საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფოს სხვა დაინტერესებულ სტრუქტურათა კვლევის საგანი.

რაც შეეხება თვითონ წერილს, თუ აქ მოყვანილი ფაქტების მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ საქართველოს ძარცვას თურმე საქართველოს ეკლესიაც უწყობს ხელს. ჩვენ სტატიაში ჩამოთვლილ ორგანიზაციებს შეურაცხყოფას არ ვაყენებთ, მაგრამ როდესაც საპატრიარქოს ეხება საქმე, ამდენად მეტი სიფრთხილე გვმართებს. წერილის გამოქვეყნებამდე ხომ შეიძლებოდა ჩვენთან მონაცემების დაზუსტება და ვითარების გარკვევა. სამწუხაროდ, ეს არც ქალბატონმა რუსუდან დუნდუამ მოისურვა და არც გაზეთ „საქართველოს“ რედაქციამ, რაც მეტად გულსატკენია.

საქმე კი შემდეგშია, ჯერ ერთი: საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილების მიერ საზღვარგარეთ გატანილი ნედლეულიდან არცერთი გრამი არ არის საქართველოს ტერიტორიაზე შეგროვებული. ამის შესახებ არსებობს სათანადო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ რეექსპორტირებული ლითონების 100 პროცენტი შემოტანილია მეზობელი რესპუბლიკიდან. აღნიშნული საბუთების სისწორე შეუძლია შეისწავლოს რესპუბლიკის ნებისმიერმა ინსტანციამ, ასე რომ ჩვენ საქართველო არ გაგვიძარცვავს.

მეორე: სტატიაში მოყვანილი ციფრები ამოწერილია საქართველოს მატერიალური რესურსების სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველოს მიერ გაცემული ლიცენზიიდან, რომლითაც საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილებას უფლება ეძლევა ლიცენზიაში აღნიშნული პროდუქციის საზღვარგარეთ გატანისა. ნებართვა ერთია, გატანილი პროდუქციის რაოდენობა — მეორე. ასე მაგალითად: სტატიაში აღნიშნული ალუმინის ჯართის 1500 ტონის მაგივრად გატანილია 22 ტონა; 2435 ტონა სპილენძის ჯართის ნაცვლად — 165 ტონა; 400 ტონა ტყვიის ჯართის მაგივრად— 78 ტონა. 200 ტონა ნიკელი, 300 ტონა თუთია და 350 ტონა კალა, რომელიც სტატიაშია ნახსენები, საერთოდ არ არის გატანილი. ე.ი. წერილში მოყვანილი ციფრები ათასეული ტონობით აღემატება რეალურს.

და მესამე: ღღეს საქართველოს ეკლესია მეტად მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. საქართველოს საპატრიარქოს ძირითად შემოსავალს 70 წლის მანძილზე და ღღესაც წარმოადგენს ეკლესიებში სანთლის რეალიზებით შემოსული თანხა. ბოლო პერიოდში სანთლის დამზადებისათვის აუცილებელი ძირითადი ნედლეულის ღირებულება გაიზარდა 90-ჯერ, სანთლის ღირებულება კი მხოლოდ — 3-ჯერ. საქართველოს ეკლესია ითვალისწინებს რა მოსახლეობის გაჭირვებას, სანთლის ფასს მეტად არ ზრდის, თუმცა ეს მას დიდი პრობლემების წინაშე აყენებს.

გარდა ამისა დასაფინანსებელია სასულიერო აკადემიები, სემინარიები, სასწავლებლები, სამრევლო სკოლები და გიმნაზიები, აღსადგენია უამრავი ეკლესია-მონასტრები, ამასთან ყველასათვის ცნობილია: თუ რა საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა საქართველოს ეკლესია ერის საკეთილდღეოდ. და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც საქართველოს საპატრიარქოს ფინანსური შესაძლებლობები ფრიად მწირია.

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილება. ჩვენი მიზანი მხოლოდ ერთია: ხელი შევუწყოთ ეკლესიის და ამავე დროს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და არასოდეს გადავდგამთ ისეთ ნაბიჯს, რაც ქართველი ერის ინტერესებს ხელს არ შეუწყობს.

პატივისცემით

მევლუდ ებრისელაშვილი

საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილების თავმჯდომარე

სვეტიცხოვლობა—14 ოქტომბერი

„მცხეთის ქალაქს მირონი დუღს,
მზის და ვაზის მირონი...“

„... ...ამის შემდეგ მოისმა ხმა ესრეთ მეტყველი: „აჰა, მოქმედი ძალი მაღლისა, რომელიც შემოჰკრებს ყოველსა ქმნილებასა. გაისმა ხმა ესე ყოველთა კაცთა ,ძალთა შორის და იწყო ძალმა ძალთან, სახსარმა სახსართან შეერთება.

შემდეგ კიდევ ჩამოეშვა ჭაბუკი. ხელთ ეჭირა ცეცხლის გრაგნილი (ხვეული) უფლის ეპისტოლენი სატანასთან წარგზავნილი, რომელშიც ეწერა:

„დასრულებულ არს მეფობა შენი, რამეთუ განვლო აწ სამმან წელმან, რომელიც მოცემულ იყო შენდა მეფობად ყოველთა ქვეყანასა ზედა. დასდგა წინაშე სატანისა ჭაბუკი და წარუკითხა ეს ეპისტოლე. შემდეგ რისხვით გაიყვანა სამეფო კარიდგან, დაუდო თავი პირსა ზედა ქვეყნისასა, რომ ამოენთხია ყოველივე ბოროტება, რისხვა, სიცოფე, მძვინვარება, მთელი შხამი ბოროტებისა, ყოველი არა წმინდება, უსამართლოება და ყოველივე მწვალებლობა, ასე რომ მისი აღსასრული მოახლოებული იყო და უნდა დამწვარიყო მთელი თავისი მხედრებით...“

(„საკვირველი ხილვა ღირსის ვასილის მოწაფის გრიგოლისა“)

მეორედ მოსვლის წინ სატანა გამეფდება დედამიწაზე. ამბობენ, უკვე დაწყებულიაო მეორედ მოსვლა. ეს ის მოენტია ალბათ, ანგელოზი სატანას დედამიწაზე რომ ანთხევინებს ყოველივე ბოროტებას, რისხვას, სიცოფეს, მძვინვარებასა და შხამს. სად მიდის ეს ყველაფერი? ისევ ჩვენთან მოდის, ჩვენ უნდა შეგვეყაროს, ჩვენ უნდა შემოგვიაროს. ვინც დასალუპია, ეტყობა, უნდა დაილუპოს. ამ დალუპვაში ბოროტებისაგან დაზარალებული ადამიანები არ იგულისხმებიან. ამ დალუპვაში ის ადამიანები იგულისხმებიან, ვისაც შეეყრება სატანისაგან ნანთხევი შხამი, ვინც თავად ჩაიდენს ბოროტებას. ვინც ქურდობდა და კლავდა, ხომ იქურდებს და მოკლავს. აქ არაფერი იქნება ახალი. ახალი იქნება ის, რომ მოიპარავს ის, რომელიც სხვა დროს არ მოიპარავდა, მოკლავს ის, რომელიც სხვა დროს არ მოკლავდა, იყაჩაღებს ის, ვინც სხვა დროს არ იყაჩაღებდა, ამრუშებს ის, ვინც სხვა დროს არ ამრუშებდა. ახალი და ახალი რაზმები ჩადგებიან ბოროტების სამსახურში. ამას ერქმევა, ალბათ, სატანის ნიშნის მიღება. ამიტომ ის, რაც დღეს ჩვენს გარშემო ხდება, არათუ მოიკლებს, კიდევ უფრო გამძვინვარდება. ამ საყოველთაო დაწიოკებულ მდგომარეობაში კანონმა შეიძლება ვერც აიორიოს წელი, საყოველთაო ბრძოლამ შეიძლება ვერც გამოიღოს ნაყოფი. ბრძოლაა საჭირო ინდივიდუალური, საკუთარ თავთან, სატანისაგან ნანთხევ ღვარცოფთან, არ მოგეცხოს, არ შემოგიაროს, არ წაგბილწოს. ის შენს დასალუპად, შენს წარსაწყმედად მძვინვარებს დღეს.

სხვა არაფერი დაგემარება, ჩემო გაუბედურებულო თანამოძმენ, რომელიც ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ დადიხარ, ხსნი სატელეფონო ხაზებს, კაბელებს, სპილენძის გაყვანილობებს, ძარცვავ და ყვლეფ მთელ საქართველოს, თუ არა ის, რომ ამ ღვარცოფს შენამდეც მოაღწია. განა რას შეიტან შენს ოჯახში იმის ფასს, რას აჭმევ და ასმევ შენს ცოლშვილს იმის ფასს, რა უბედურებითაც ემუქრები — სამუდამოდ წარწყმედ სულს და წარწყმედ მათაც.

განა ის ხალხი, რომელიც დღეს მატარებლებს ხვდება და ძარცვავს, სხვა დროს და სხვა პირობებში ამას ჩაიდენდა? დღეს სჩადის! არანაირი გაჭირვება არ ამართლებს მათ საქციელს! ეს გაჭირვებაც მათ გამოსაცდელადაა. ვერ გაუძლეს — წაიდნენ და გაძარცვეს. ხომ არ გაჭეცა ვიღაც მათ, ხომ თქვა ვიღაცამ უარი, თქვა უარი და არ მიიღო ნიშანი ბოროტის, არ მიიღო და გადარჩა.

ბოროტება რის ბოროტებაა, თუ ყველაზე საზარელი რამ არ ჩაიდინა. ადამის მოდგმის მტერმა ამ მოდგმის ყველაზე სუსტი და დაუცველი ყლორტები მოაშთო და მოყინა; უცერემონიოდ შეანთხია ნარკომანის შხამი ჩვენს შვილებს — არნახული ზრდა მოსარდთა დანაშაულობებისა. ბიჭები, სკოლის ბიჭები, „საბრძოლო ნათლობას“ მანქანების ქურდობაში იღებენ. აქაა მათი სავაკაცო ასპარეზი. აქ დგამენ ისინი თავიანთ პირველ ნაბიჯებს — საშუნაროდ, ქურდულ ნაბიჯებს. ნურავინ მეტყვის, გადაჭარბებულიაო. დაკითხეთ თქვენს შვილებს, და ისინი გეტყვიან, როგორი ძნელია დღეს ბიჭობა. რამდენს წარჩინებულმა ოჯახმა არ იცის, რას სჩადის მისი პირმშო, რაში ურევს ხელს, რა ცოდვაში ეხვევა! ვერ ფხიზლობენ ისინი საკუთარი შვილებისათვის, რადგან საკუთარი თავისთვის არ არიან ფხიზლნი.

ფხიზელი კაცი კი ამ დროს... „შემწე სულისა ჩემისა იქმენ, ქრისტე ღმერთო, რამეთუ შორის საფრთხეთა მრავალთა ვვალ, მიხსენ მაოგან და მაცხოვნე მე, ვითარცა სახიერმან და ვითარცა კაცთა-მოყვარემან“. როგორც ხედავთ, ფხიზელი კაცი ღმერთს ეშუდარება შველას.

მან კარგად იცის, რა ელის წინ ადამის მოდგმას. „ამ დროს გაისმა გოდება ტანჯვისა, ტირილი და ნელი სულთქმა შრავალთა უმრავლესი. ეს ცხენოსანი მხედრნი სდევნიდნენ და ხოცავდნენ ყველა ანტი-ქრისტეს სწავლით შეცდომილებს ქვეყანაზე იმის მეფობის დროსა. შემდეგ დავინახე, თუ როგორ გამოვიდნენ კეთილმშვენიერნი მხედრთა გუნდი და იწყეს მზადება უფლის მოსვლისათვის“. („საკვირველი ხილვა ღირსის ვასილის მოწაფის გრიგოლისა“).

საქართველოს მპარავებო, მკვლელებო და ავაზაკებო!

მანანა ყიფიანი

ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ ამ ქვეყანაზე. კაცმა არ იცის, ვინ როგორ წარვსდგებით უფლის წინაშე, ვის რა სახე გვექნება, მაგრამ თქვენ, საქართველოს მპარავებო, მკვლელებო და ავაზაკებო, როგორები იქნებით, ნამდვილად ცნობილია...

„შემდეგ უფალმა რისხვით მოიხედა დასავლეთისაკენ და ელვის სისწრაფით მოვიდნენ ცეცხლისფერნი ანგელოზნი, განწესებულ სასჯელის აღმასრულებელნი და იწყეს ცოდვილების ცეცხლის ზღვაში შთაყრა. ცოდვილნი გოდებდნენ: „ოჰ, მძიმე არს, მძიმე არს ესე“... შემდეგ შთანქმულ იქმნენ...

ამის შემდეგ უფალმან განაცალკევა სხვა ნაწილი. ესენი იყვნენ: ავაზაკნი, მკვლელნი და თავიანთ დანაშაულობითა პირდაყოფილნი. ამან სხეულებში ეკლის ლურსმნები ჰქონდათ შესობილი, პირიდგან სიდამპლე გამოსდიოდათ, ფეხები გამრუდებული ჰქონდათ. უფალი განურისხდა მათ და ანგელოზებმა წარიტაცეს ისინი და ჩაჭყარეს ცეცხლის ზღვაში. ისინი ყვიროდნენ და სტიროდნენ და ვერავისგან ვერ მიიღეს შებრალება. ამის შემდეგ სხვები გამოიყვნენ და ცალკე დადგნენ. ეს იყო სრულიად დაბნელებული და სუნსურალი ნაწილი ხალხისა, ტანსამოსი დახეულები ჰქონდათ, ფეხებზე თხის ტყავი ეცვათ. უფალმა ბრძანა მათი წაყვანა. მათ ხელ-უახი შეუკრეს და ცეცხლში ჩაყარეს. ესენი იყვნენ ქურდნი და ავაზაკნი. რამდენსაც მეტსა ჭვრიდნენ იმათ ანგელოზნი, ცეცხლი უფრო ეგზნებოდა და ალისგან ისმოდა საშინელი ხმა და გრგვინვა, ისე თითქო ცამდე უნდა ასწვდეს და მოაოხროსო. შთაყრილნი ცოდვილნი ლერწის ღერივით ჩქარა იწვებოდნენ“. („საკვირველი ხილვა ღირსის ვასილის მოწაფის გრიგოლისა“).

არნახული ძარცვა-გლეჯაა ღღეს საქართველოში. სატანა თავის გეგმას ასრულებს, რაც შეიძლება მეტი კაცი უნდა ამოსწეროს მარადიული სიცოცხლის წიგნიდან, „რადგან ჯოჯოხეთი არ იტყვის, კმა არს ჩემდა!“

საქართველოს მპარავებო, მკვლელებო და ავაზაკებო! ერთ წამს შეყოვნდით თქვენს ცოდვაში, სულ ერთ წამს და გაიაზრეთ — იქ, ზეცაში, ერთი დიდი წიგნია საუკუნო სიცოცხლისა და იმ წიგნში თქვენ არა სწერიხართ! ხოლო იმათ, ვინც იმ წიგნში არ სწერია, ფეხებზე თხის ტყავამოცხულებს ლერწის ღერებივით რაც მოსდით, თქვენ უკვე იცით. მაგრამ ეს ყველაფერი მომავლის სურათია, დღეკანდელი დღე ჯერ კიდევ თქვენს ხელთაა. წინდა ეფრემ ასურელი გვაფრთხილებს: „საშინელ არს, ძმანო, როცა გვესმის განკითხვა, განეშოროს ყოველი კაცი ცოდვას, და ნუ გააბამს თავის თავს ქვეყნიურ ცათა სასუფევლის ერთ-ერთი წევრთაგანი ავაზაკი გახდა:

სახარება მოგვითხრობს, რომ უფალთან ერთად ჯვარს აცვეს ორი ავაზაკი, ერთი მარჯვნივ და ერთი მარცხნივ. „ერთი ჩამოკიდებული ბოროტმოქმედი გმობდა მას: „განა შენ ქრისტე არა ხარ? ისხენი შენი თავი და ჩვენც. მეორე კი გაუწყრა და უპასუხა მას: ნუთუ ღმერთისა არ გეშინია, როცა შენც იმავე მსჯავრში ხარ?“

ჩვენ სამართლიანად, ვინაიდან ჩვენ რაც გავაკეთეთ, იმისი საკადრისი მივიღეთ, მაგას კი არაფერი ცუდი არ გაუკეთებია. და მან უთხრა: იესო, გაიხსენე, როდესაც შენს სასუფეველში მიხვალ. იესომ კი უთხრა მას: ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღეს ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“ (ლუკა 39. 40. 41. 42. 43).

ამგვარად, პირველი, ვინც გაიყოლა უფალმა დედამიწიდან სამოთხეში, ავაზაკი იყო. მაგრამ როგორი ავაზაკი? საკუთარი ცოდვების მწარედ შემნანებელი და უფლის მცნობი და აღიარებელი.

ახლა სინანულზე:

ბერი: მე ჩავბარდი მძიმე ცოდვაში და მინდა სამ წელიწადს ვიყო სინანულში, ეს დრო საკმაო არის იმისათვის, რომ განვიწმინდო ცოდვებისაგან?

წმ. პიმენი: ბევრია.

ბერი: მაშ, ნება მომეცი, მაპაო, ერთ წელიწადს ვიყო სინანულში.

წმ. პიმენი: ბევრია.

ბერი: მაშ საკმაოა ორმოცი დღე სინანულისთვის?

წმ. პიმენი: ბევრია, — მე ასე ვფიქრობ, თუ კაცი შეინანებს ყოვლითა გულითა და მტკიცედ გადაწყვეტს, რომ ცოდვას არ დაუბრუნდება, არ გაიმეორებს, ღმერთი სამი დღის სინანულსაც მიიღებს და შეიწყნარებს.

„უსჯულოება ჩემი მე უთხრა და ვზრუნვიდე მე ცოდვისა ჩემისათვის“ (ფსალ. 37. 18).

ამგვარად, საქართველოს მპარავებო, მკვლელებო და ავაზაკებო! კიდევ გაქვთ შანსი საუკუნო სიცოცხლისა, კიდევ შეგიძლიათ თავიდან აიცდინოთ დედამიწიდან ცამდე აწვდილი ცეცხლის ალი.

„უფალმა თავისის საღვრთო ბაგით წყნარად და მშვიდად მითხრა: — მოგვითხრობს კვლავ მამა გრიგოლი, — „აჰა, გრიგოლ, ჩემი სათნოყოფილის, ვასილის ლოცვით ყოველივე გაჩვენე, შენც ეცადე, სხვასაც გადასცე, რომ მათაც სარგებელ ეყოს სულის საცხოვნებლად. მე გეტყვი შენ, რომ რომელი არა შეუდგეს წმიდასა სახარებასა ჩემსა და ყოველსა მას შინა წერებულსა, არა ცოცხალ იქმნეს უკუნისამდე, არამედ იქმნების საძაგელ და საძულველ მამისა და ჩემგან, რომელსა არა ენებოს შენა ჩემი“ — და მსახურება ჩემი, იგი იქმნების შვილი გენინის ცეცხლისა...

ნუ დასარხავ მიწასა შინა გულითადსა შინა სულიერსა სიკეთესა, სულიერსა ვერცხლსა ჩემსა, არამედ გაუსიარე მრავალთა მორწმუნეთა, რომ ისმენენ შენგან ყოველსავე ამას, შეინიშნენ და მრავალნი განერებიან (გადარჩებიან) ბოროტებისაგან და მადლისაკენ მიისწრაფენ...

მთელი ქვეყანა და რაიცა ქვეყანას ზედა არს, ყოველივე უამიერია და მხოლოდ ერთი ცოდვის კმაყოფილების შემძინებელი. ისინი ყოველის გულით მოიძულებენ და ეცდებიან, აღასრულონ ყოველივე ჩემი მცნება და ყველანი უფრო მოისურვებენ საუკუნო კეთილსა და ყოველსავე აღასრულებენ თავიანთ სულის საცხოვნებლად.. რომელნიც ისმენენ ყოველსავე ამას და სინანულისათვის არ ეცდებიან, შენ ბრალი არ გექნება და ყველანი თავიანთი საქმისაებრ განისჯებიან.

მე ყოველთვის მოწყალე ვარ, ვინც სიწმიდით შეინანებს, ყოველ ბრალს მივუტევებ. შემდეგ სიკეთილისა აღარ არის სინანული. უსარგებლო არის ტირილი, ვედრება... რა უნდა ჭოს მაშინ სიცოცხლეში უნანელმა ცოდვილმა? მე ფიცხელ ვარ ჩემს სამსჯაროში და ფიცხლად დაკვეთ მცოდველებს. მე ეს წინადაც გითხარი და ეხლაც გაგიმეორებ: მე არ გაშხელთ თქვენ ცოდვებისათვის, არამედ თქვენვე გეშინებით ჩემს სამსჯაროში.

ყოველივე ეს მიბრძანა უფალმა — მოგვითხრობს მამა გრიგოლი, რომ მე გარდამეცა ყველა იმ ხორცში მყოფ ხალხისათვის, რომელთაც ვერ ძალუძთ (არ შეუძლიათ) საუკუნო ცხოვრებაში შესვლა“.

საქართველოს მპარავებო, მკვლელებო და ავაზაკებო! მართალაც და ნეტარ იქნება თქვენს შორის ის კაცი, რომელიც ამ სიტყვების მოსმენისთანავე თავზარდაცემული და შეძრული, თავზე ნაცრის დაყრით და სინანულის ცრემლებით პირველსავე ეკლესიაში პირველსავე მოძღვარს ფეხებში ჩაუვარდება და უფლის წინაშე პატიებას ითხოვს. ჭეშმარიტად ნეტარი იქნება ის კაცი — დაისჯენებს თავად და ქვეყანასაც დასჯენებს.

„ნეტარ იყოს იგი, რომელიც უსაკეკლითა გონებითა და გულითა წმიდითა სცნობს ამას და ეცდება, განეშოროს ყოველსავე ცუდსა და მეეტანება იმ კეთილსა, რომელიც საუკუნითგან განმზადებულ არს მართალთათვის. ვაი არს მისა, ვინც არ ხარობს კეთილითა, ვისაც არა რწმენა ყოველივე ესე და ვინცა არ ისმენს ყოველსავე თქმულსა. ვაი, არს მისსა, ვინც ეჭვობს. მას წილი არ ექნება ცხოვნებულთა“ („საკვირველი ხილვა ღირსის ვასილის მოწაფის გრიგოლისა“).

კანონი დასასჯელად გეღირებათ. როგორც შეგვეს, ისე შეგაყენით ხაროში და გარედან კარებს ჩაგირაზავთ, მაგრამ იცოდეთ, ვერანაირი ციხის ჯოჯოხეთი ვერ ჩამოგრეცხავ ცოდვებს, თუ თავად არ მოინანიებთ,. მთელი ცხოვრება მგლებივით მარტოსულები უნდა იყოთ, მთელ ცხოვრებაში დევნილები, ბოლოს ასეთივე სულისკვეთებით სამუდამო ცეცხლში უნდა შეკვეთდეთ. შეკოვნდით ერთ წამს! ვიცი, ბევრი ურწმუნოდ ჩაიცინებს, „ბლის თავზე სახარბას კოთხულობენო“, მაგრამ მერწმუნეთ, სახარება ისეთი რამაა, მისი ყველას თავზე წაკითხვა შეიძლება. ჯერ კიდევ ისედაც ისმის უფლის სიტყვები: „შემდეგ სიკეთილისა აღარ არის სინანული, უსარგებლო არს ტირილი და ვედრება“.

მაშ ასე, საქართველოს მპარავებო, მკვლელებო და ავაზაკებო! ხვალ ყველაფერი შეიძლება გვიან იყოს.

„აჰა, ესერა სიძე მოვალ შუაღამესა და ნეტარ არს მონაი იგი, რომელი იპოვოს მღვიძარედ, ხოლო ვაი არს მონისა მის, რომელი იპოვოს უდებებით. იხილე, სულო ჩემო, და ნუ გრულის ძილისათვის, რათა არა გამოვარდე სასუფევლისაგან, არამედ აღიმსთვე შუა-ღამესა, და ჰხმობდე: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ ღმერთო ჩვენო, ღვთისმშობლისა მიერ შეგვიწყალენ ჩვენ, ამინ“.

დემონკრატიული რუსეთი

თამაში ყალბი კარტით...

საბჭოთა ბოროტების იმპერია დაიშალა, მაგრამ დარჩა მასში ნათესი „ბოროტების ყვავილები“, მთესავთა ძალისხმევით ხან აქ რომ წამოყოფენ თავს, ხან იქ ე.წ. ეთნოკონფლიქტების, საზღვრების საკითხისა თუ რაგინდარა სახით.

იმპერიის დანატოვარ ერთ-ერთ პრობლემად წარმოჩინდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, აწ უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებში არამკვიდრი (ძირითადად საბჭოთა პერიოდში ჩასახლებულ-გადასახლებული) მოსახლეობის პრობლემა.

მაგრამ პრობლემაცაა და პრობლემაც. თუ ერთგან (მაგ. უზბეკეთში) იგი მართლაც არსებობს, მეორეგან (საქართველოში) საერთოდ არ დგას.

ბოლო ხანებში რუსეთის საინფორმაციო საშუალებებს, ოფიციალურ პირებს განგაში აქვთ ატეხილი აღნიშნულ რესპუბლიკებში 25 მილიონიანი რუსი მოსახლეობის „უუფლებობის“, „დევნა-შევიწროების“ გამო (ერთი საინტერესო დეტალი: რუსეთის გარეთ მოსახლე რუსებს არცთუ იშვიათად „რუსეთის მოქალაქეებად“ მოიხსენიებენ!).

თავი დავანებოთ იმას, რომ ყოფილი იმპერიის ქვეყნებში „რუსულენოვანი მოსახლეობის პრობლემა“ ბევრწილად თავად რუსეთის (იგივე სსრკ-ს) ხელმძღვანელობამ შექმნა, **იმპერიული პოლიტიკიდან გამომდინარე**, მიზანმიმართულად ეწეოდა რა „მოკავშირე რესპუბლიკებში“ რუსების ჩასახლებას (ამ პოლიტიკის შედეგია — ყაზახეთში, ლატვიასა და ესტონეთში ლამის უმცირესობაში რომ აღმოჩნდნენ ამ ქვეყნების ხალხები). მთავარი ისაა, რამდენად გულწრფელია, რა მიზანს ემსახურება ეს განგაში.

მაგრამ, სანამ ამას შევეხებოდეთ, ჯერ ორიოდე სიტყვა თავად „პრობლემის“ გარშემო.

იმპერიის დანგრევის შემდეგ, ჩასახლებულ რუსთაგან ბევრმა „აღმოაჩინა“, რომ მთლად „თავის“, უფრო სწორად, სათავისოდ მიჩნეულ ქვეყანაში **ალარ** ცხოვრობს, რომ ეს ქვეყანა ახლა მას გარკვეულ **ვალდებულებებს** აკისრებს (მაგალითად, მოითხოვს ამ ხალხის ენის ცოდნა-შესწავლას)...

„ჩამოლაბორანტებულებად“ თავჩათვლილმა ყოფილმა „უფროსმა ძმებმაც“ (კერძოდ, ბალტიის ქვეყნებში) არ დაახანეს და ოყვირეს — რუსეთის მიმართულებით — არიქა, გვავიწროებენ, გვჩაგრავენ, გვიშველეთო (ამ „მყვირალებში“, რასაკვირველია, ინტერფრონტულად მოაზროვნე-მოქმედი ადამიანები იგულისხმება და არა მთლიანად „რუსულენოვანი მოსახლეობა“)...

რუსეთშიც ყურად იღეს ეს ხმა და, როგორც ითქვა, განგაშიც ატეხეს...

განგაში განგაშად, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა — ბაქოდან, შუა აზიის რესპუბლიკებიდან ლტოლვილი რუსები მიაწყდნენ რუსეთს (დიახ, რუსეთისა და რუსების ყველაზე „ერთგულ“, „მოყვარულ“ შუა აზიაში დადგა ყველაზე მწვავედ რუსულეროვანი მოსახლეობის პრობლემა ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ამ უკანასკნელს გასაქცევად გაუხადეს საქმე), თანამემამულების უფლებებისათვის ესოდენ აქტიურად მოგანგაშე დედასამშობლოში არცთუ ძმურად დახვდნენ, უფრო ზუსტად, გულგრილობის ცივი კედელი დაახვედრეს, შეიძლება ითქვას, ბედის ანაბარად დაყარეს (ამ „დაყრის“ ფაქტს ვერ მალავს თავად რუსული პრესა და ტელევიზია)...

ასე კი იმიტომ ხდება, რომ რუსეთში, „ზემოთ“ იმდენად „გაჭირვებაში ჩავარდნილი თანამემამულეების“ ბედი არ აწუხებთ, რამდენადაც ამ **„კარტით“ თამაში.**

და აქტიურადაც იყენებენ მას დამოუკიდებელ რესპუბლიკებზე უხეში ზემოქმედებისათვის, რაც ზოგჯერ სამხედრო ჩარევით აშკარა **მუქარაშიც** (და არა მარტო მუქარაში)კი

ინფორმაცია ობიექტური უნდა იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთში „განათლება“ 2 ოქტომბერს გამოქვეყნდა ინფორმაცია „საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროში“, რომელიც იქ 29 სექტემბერს გამართულ თათბირს შეეხება.

თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, რომ აღნიშნული პუბლიკაციის ავტორს, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს პრესცენტრს, თათბირის მსვლელობის გაყალბება, მონაწილეთა აზრის უგულებელყოფა და საზოგადოებრიობის დეზინფორმაცია დაუსახავს მიზნად. რაც მთავარია, ინფორმაციაში მოყვანილი განცხადება, რომ „თათბირის მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განათლების სამინისტროს პოზიციას“... არ შეესაბამება სინამდვილეს და აშკარად ამახინჯებს თათბირის სულისკვეთებას, იქ გამოთქმულ მოსაზრებებს.

თათბირი, რომელიც ვითომდაც სამინისტროს მიერ შემუშავებულ განათლების კონცეფციის პროექტის განხილვას მიეძღვნა, რასაც, სამწუხაროდ, ამდენი ხანი ამაოდ ელოდებიან სისხლხორცეულად დაინტერესებული განათლების სისტემის მუშაკები, დაიწყო ისე, რომ მიწვეულები ინფორმირებულიც კი არ იყვნენ, თუ რისთვის შეიკრიბნენ. რაც მთავარია, თათბირი თავისი შემადგენლობით უფლებამოსილი არ იყო გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ყოფნა-არყოფნის პრობლემასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში 148 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელია, მათგან 42 ქ. თბილისში. თათბირს ესწრებოდნენ მხოლოდ თბილისის სასწავლებლების 22 დირექტორი და 5 მოადგილე, მის მუშაობაში არ მონაწილეობდა დაინტერესებული უწყებების, წარმოება-დაწესებულებების არცერთი წარმომადგენელი.

ამასთანავე, თათბირის ორგანიზატორებმა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ უწყვეტი განათლების სისტემის კონცეფციის შექმნაზე, უგულებელყვეს ობიექტური მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ბედი, შემოთავაზებული რეორგანიზაცია, კერძო საკითხი არ არის და არ შეიძლება იზოლირებულად იქნას განხილული განათლების სისტემის სხვა სტრუქტურებიდან.

ამასთანავე, თათბირზე გამოსულებმა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დირექტორებმა, ამ დარგის სხვა სპეციალისტებმა, გააანალიზეს რა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში შექმნილი მდგომარეობა, დაბეჯითებით მოითხოვეს:

— პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის გარდაქმნის საინიციატივო -ჯგუფის მიერ შემუშავებული კონცეფციის პროექტის პრესაში გამოქვეყნება;

— გამოქვეყნებული პროექტების, დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, საჯარო განხილვის ორგანიზება;

— სახელმწიფო დონეზე სპეციალისტთა ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც შეაჯამებს განხილვის შედეგებს, შექმნის კონცეფციის ოპტიმალურ პროექტს;

— იმის გათვალისწინებით, რომ მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადებისა და გადამზადების პრობლემებით უშუალოდ დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა უწყებები, წარმოება-დაწესებულებები, საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურები, მათი უშუალო მონაწილეობით, სახელმწიფო დონეზე უნდა განისაზღვროს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის განვითარების სახელმწიფო პროგრამა;

— განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული პროექტი საჭიროებს საფუძვლიან გადამუშავებას და კვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობით თავიდან შედგენას.

დენის დავითაშვილი

1992 წლის 29 სექტემბრის თათბირის მონაწილე, განათლების სამინისტროს მთავარი სპეციალისტი.

P.S.

აღნიშნულ წერილში მოყვანილ ფაქტებს, რასაკვირველია, დაადასტურებდა ამ თათბირის თითოეული მონაწილე, მაგრამ ჩვენ არ გვინდა მათ მიმართ გამოვიწვიოთ სამინისტროს ზოგიერთი ხელმძღვანელის „კეთილგანწყობილება“.

ეს წერილი მიტანილი გვქონდა გაზეთ „განათლების“ რედაქციაში, მაგრამ გამოქვეყნებაზე უარი გვითხრეს იმ მიზეზით, რომ საჭიროა განათლების სამინისტროს ნებართვა.

მიბაძავენ რუსები სერბებს?

თავის ამასწინანდელ სტატიაში სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრის რუსეთისა და ევრაზიის კვლევის ცენტრის დირექტორმა სტივენ სესტენოვიჩმა განხილვის საგნად აქცია პოსტსაბჭოური მსოფლიო მოწყობის პრობლემა. იმის მიხედვით, თუ როგორ მოეკიდება დასავლეთი ეთნიკური რუსი უმცირესობის თითქოსდა ჩაგვრის საპასუხოდ რუსეთის პოტენციურ აგრესიულ მოქმედებას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, — შესაძლებელი გახდება იმის განსაზღვრა, იქნება თუ არა მშვიდობა ევრაზიაში.

თქმა არ უნდა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ მართლაც უნდა იღვაწონ იმისათვის, რათა საერთაორისო ფორუმებზე სერიოზული განსჯის საგნად იქცეს ეთნიკური რუსების (და მე დავუმატებდი — აგრეთვე არარუსების) უფლებათა დაცვის საკითხი აღნიშნულ რესპუბლიკებში, მაგრამ ამასთან ისიც უნდა გაიცნობიერონ, გაითვალისწინონ, რომ ეს პრობლემა ყველგან ერთნაირად არ დგას, მაგალითად, უკრაინაში რუსები ისათსავე სრულფასოვან მოქალაქეებს წარმოადგენენ, როგორც უკრაინელები.

რუსეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ გავრცელებული ტყუილ-მართალი ცნობები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში რუსების დევნა-შევიწროების შესახებ, რუსი რევანშისტების ხელში შეიძლება იქცეს ძლავრ, ნანატრ საშუალებად მასების დასაარაზმავად იმპერიის აღსადგენად, და ამავე დროს — დასავლეთის მდუმარე თანხმობის მისაღებად მოლდოვაში (დნეპრისპირეთი), უკრაინაში (ყირიმი) თუ სხვა ადგილებში სამხედრო ინტერვენციის მოწყობაზე.

ბ-ნი სესტანოვიჩი შეგვახსენებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი „წინააღმდეგობას არ უწევს სამხედროთა როლის თვალშისაცემ ზრდას“, მაგალითად, მოლდოვაში, „სადაც რუსებს ხოცავენ“, მაგრამ ხმას არ იღებს იმაზე რომ იქ მოლდაველებიც იღუპებიან.

თუ დასავლეთი რეაგირებას მოახდენს მხოლოდ რუსების თვალსაზრისზე და მხოლოდ იმიტომ, რომ შესაძლებელია რუსეთის, ამ მძლავრი ქვეყნის ტოტალიტარიზმისკენ დაბრუნება — გამორიცხული არაა ამით დასავლეთმა „მწვანე შუქი“ აუნთოს მკაცრი კურსის ისეთ მომხრეებს, როგორებიც არიან ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ რუცკოი და თავდაცვის მინისტრი, გენერალი გრაჩოვი, რომლებიც ლამის სანთლით ეძებენ ეთნიკური რუსების შევიწროების ფაქტებს, რათა ჰქონდეთ საბაბი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული, დამოუკიდებელი სახელმწიფოების (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები) საშინაო საქმეებში ცალმხრივი ჩარევისათვის.

ყოფილ სსრკ-ს იუგოსლავიის ბედი ელის, თუკი რუსები, სერბების მსგავსად, როგორც ერთ დროს იმპერიის წამყვანი ერი, შეეცდებიან აღადგინონ თავისი ბატონობა.

რა თქმა უნდა, რუსი ლიბერალები უნდა გამოდიოდნენ რუსეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრები იმ ეთნიკური რუსების დასაცავად, რომლებიც მკვიდრი მოსახლეობის თანაბარ (და არა უმეტეს) უფლებებს ითხოვენ.

მაგრამ უფრო დიდი ამოცანა რუსი ლიბერალებისათვის იმაში მდგომარეობს, რომ მასებს როგორმე ხელი ააღებინონ იმპერიის აღდგენის ოცნებაზე და გაუღვიძონ შეგნება იმისა, რომ ისინი ისედაც უზარმაზარ, ბუნებრივი რესურსებით უმდიდრეს ქვეყანას ფლობენ.

წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთში არ იქნება დემოკრატია, ევრაზიაში კი — მშვიდობა.

ვიქტორ ოსტაპჩუკი

გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“, 21/VII-3/VIII, 1992 წ.

სიმართლე და სიყალბე „სამხრეთ ოსეთის“ შესახებ

შალვა ხიდაშელი

გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს

პატივცემულო ბატონო ნოდარ

ეს წერილი დაწერილი იყო მიმდინარე წლის ივნისის მეორე ნახევარში და დაიწერა იმ მოსაზრებების გამო, რომლებითაც „შეიარაღებულა“ ე.წ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე — ტ.კულუმბეგოვი, რათა „დაესაბუთებინა“ სამხრეთ ოსეთის არსებობის ფაქტი ჯერ კიდევ XVIII ს-ში.

წერილი არ გამოქვეყნდა, რადგან ამ დროს დაიწყო მოლაპარაკებანი შიდა ქართლში ბრძოლების შეწყვეტის თაობაზე.

როგორც ხსენებული საბჭოს ა.წ 31 აგვისტოს მიღებული „ მემარანდუმიდან“ ირკვევა (იხ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა“, 13.X. 92. გვ.4) — ეს „საბუთები“ საბჭოს წევრებისათვის კვლავ ძალაში რჩება. ეს ფაქტი საკითხს აქტუალურს ხდის და ჩემი წერილის გამოქვეყნებით მნიშვნელობა არ დაუკარგავს. იქნებ თქვენ გამოაქვეყნოთ იგი.

პატივისცემით

შალვა ხიდაშელი

15.10.92წ

11—17 ივნისის „იბერია-სპექტრში“ გამოქვეყნდა — „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის“ — ტ.კულუმბეგოვის მიმართვა ჰელსინკის ჯგუფის თავჯდომარის ჰეინო რანტალასადმი ასეთი სათაურით — „დღევანდელი საქართველო — ბოლშევიზმის ღვიძლი შვილია“.

როგორც ამ მიმართვიდან ირკვევა, ტ.კულუმბეგოვს დიდი სურვილი ჰქონია — დასწრებოდა ჰელსინკის კონფერენციას და „ ყოველმხრივ შეიარაღებულს“ „დოკუმენტებითა და ისტორიული ფაქტებით“ ჯგუფის ხელმძღვანელისა და „კონფერენციის ყველა მონაწილისათვის დაემტკიცებინა“ რომ არ არსებობს არავითარი ისტორიული და იურიდიული საბუთი ქართველების პრეტენზიისათვის „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე.

მე, როგორც ამ კუთხეში დაბადებული და ამ ქართული კუთხის ბედის გაუკუღმართების ცოცხალი მოწმე, სწორედ პირიქით ვფიქრობ და არსებობს ყველა საბუთი და ყოველგვარი საფუძველი იმისათვის, რომ ქართველების პრეტენზია ამ ტერიტორიაზე სავსებით გამათლებულად მივიჩნიოთ, თუ, რა თქმა უნდა, ისტორიულ სინამდვილეს არ დავამახინჯებთ და ჩვენს დასკვნებს სიყალბეზე არ ავაგებთ, როგორც ამას კულუმბეგოვი აკეთებს.

პირველი „საბუთი“, რომლითაც კულუმბეგოვი აღჭურვილია ჰელსინკში გამგზავრების წინ: „პრაქტიკულად სამხრეთ ოსეთი პირველად ანექსირებულ იქნა ქართველი ბოლშევიკების მიერ 1922 წელს.“მგზნებარე ბოლშევიკებმა“ სტალინმა და ორჯონიკიძემ, ორივენი ქართველები არიან, აჩუქეს /?!,შ.ხ/ მაშინ სამხრეთ ოსეთი საქართველოს“.

ადამიანმა, რომელიც ოდნავ მაინც არის გარკვეული ისტორიულ ფაქტებში, და ოდნავ მაინც გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა თავის ნათქვამზე და დაწერილზე, არ შეიძლება სიტყვები თავიდან ბოლომდე შეგნებულ და წინასწარგანზრახულ სიყალბედ არ ჩაითვალოს. ქართველმა „მგზნებარე ბოლშევიკებმა“ საქართველოს კი არ „აჩუქეს“ ეს ოდთგანვე ქართული მიწა-წყალი, სწორედ ოსებს აჩუქეს ის და შეუქმნეს ავტონომიური ოლქი, როგორც გარკვეული „კომპენსაცია“ იმ დაბრმარებისათვის რომელსაც ოსები უწევდნენ ქართველ ბოლშევიკებს გასაბჭოებისათვის ბრძოლაში. და თუ ვინმეს უნდა უთხრან მადლობა კულუმბეგოვმა და მისთანებმა, სწორედ ქართველ ბოლშევიკებს.

ერთ-ერთი მათგანი რენეგატი ორჯონიკიძე იყო, რომელმაც ტერსკის ოლქის ჯარების სარდალს სმირნოვს და ტაკოევს დეპეშა გაუგზავნა 17.III.1921 წ. საქართველოს გასაბჭოების სამი კვირის თავზე: „აღარ არსებობს ოსების საკითხი, ოსები არიან სრული პატრონები საკუთარი ბედისა“. იქვე ნათქვამია, რომ მაშინდელმა ქართულმა მთავრობამ მილიარდი მანეთი გამოჰყო ოსების დასახმარებლად /ლევან თოიძე, როგორ შეიქმნა ოსეთის ავტონომიური ოლქი, 1991, გვ. 48—49/

სინამდვილეში ბოლშევიზმის „ღვიძლი შვილი“ სწორედ „სამხრეთ ოსეთია“ და ეს იმდენად უდავო და ცნობილი ფაქტია, რომ არ შეიძლება კულუმბეგოვმა არ იცოდეს საკუთარი მშობლებისა და თუნდაც ხანშესული ოსებისგან, (აღარაფერს ვამბობ ისტორიულ საბუთებზე) და თუ მიუხედავად ამისა, ის კამათის ამგვარ პრიმიტიულ ხერხს მიმართავს, ეს იმას ნიშნავს, რომ თვითონვე არა სჯერა იმ „ დოკუმენტებისა და ისტორიული ფაქტების, რომლებითაც არის „აღჭურვილი“.

მაგრამ ისტორიული ფაქტების ამგვარ გაყალბებას აქვს კარგად მოფიქრებული და შორს გამიზნული მიზეზები. დღეს ბოლშევიზმის კრიტიკა ჩვეულებრივ და „მომგებიან“ მოვლენად იქცა. საკმარისია მკითხველი / თუ მსმენელი ჰელსინკში/ დაარწმუნო, რომ საქართველო „ბოლშევიზმის ღვიძლი შვილია, ანდა რომ „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე“ პრეტენზია ქართველი ბოლშევიკებისაგან იღებს სათავეს, რომ ამგვარ სიყალბეს ფართო გზა გაეხსნას, ცხადია ისიც, რომ რაკი ბოლშევიკური სისტემა დაინგრა და მისი ნაკლოვანებანი სრული სიცხადით გამოვლინდა, ამას არ შეიძლება იმ პოლიტიკური ფაქტების გადაფასების საკითხი არ მოჰყვეს, რომლებიც ბოლშევიკური სისტემის მართლა „ღვიძლ შვილს“ წარმოადგენს და, ბუებრივია, სისტემის ბედი უნდა გაინაწილოს. „სამხრეთ ოსეთისათვის“ ამგვარი არც თუ სახარბიელო პერსპექტივისაგან თავის დასაღწევად, კულუმბეგოვი მიმართავს მისთვის ჩვეულებრივ ფაქტების გაყალბების გზას: „ოსეთი რომ არასოდეს არ შეიდიოდა საქართველოს შემადგენლობაში“ ამას თურმე ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ 1774 წელს, ის შევიდა რუსეთის პროტექტორატში“; „ თავად საქართველომ კი“ ეს ნაბიჯი გადადგა „ 9 წლის შემდეგ, მხოლოდ 1783 წელს“.

კულუმბეგოვზე ადრე ქალბატონი გალინა სტარავოიტოვა წერდა: „ სამხრეთ ოსეთი თხოულობდა რუსეთის მფარველობას რამდენიმე წლით ადრე, .ვიდრე დაიდებოდა საქართველოსთან გეორგიევსკის ტრაქტატი 1783 წელს, რაც მთავარია და რასაც დიდი ქმაყოფილებით აღნიშნავს ქ-ნი „ ახლაც თხოულობს რუსეთის შემადგენლობაში შესვლას “ნეზავისიმაია გაზეტა“,12, 21.I.1992/.

ეს ვერსია ოსეთის და „ სამხრეთ ოსეთის“ რუსეთთან შეერთების შესახებ ემყარება რუსეთის და ოტომანის / თურქეთის/ იმპერიებს შორის ე.წ. ქიუჩუკ —კაინარჯიის საზავო ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 1774 წლის 10/21 იელისს, Е.И.дружинина,Кючук-Кайнарджийский мир,Издъство АН СССР,Москва, 1955, с.356/.

მე არ ვეხები საკითხის დეტალებს და შემოვიფარგლები იმით, რომ საბჭოთა ისტორიკოსებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე ორი დასკვნა გამოაქვთ: I. „ ყაბარდო საბოლოოდ იყო შეერთებული რუსეთთან“ /БСЭ,19,1953, გვ. 209, და 2. რადგანაც ოსეთი იმ დროს წარმოადგენდა ყაბარდოს ნაწილს, შეიძლება ითქვას, “ოსეთიც შეუერთდა რუსეთს“ /БСЭ, 38, 1955, გვ.348/.

ყურადღებას ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტში ის გარემოება იპყრობს, რომ ოსეთი საერთოდ არ არის ნახსენები (არც ჩრდილო და მით უმეტეს არც სამხრეთ ოსეთი“) და რომ ისტორიკოსების დაბეჯითებით გაკეთებული დასკვნები უკეთეს შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთზე გავრცელდეს. ეჭვი არა, აქ მხოლოდ ის პოლიტიკური და ეთნიკური ერთეული უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც ყაბარდოს შემადგენლობაში იმყოფებოდა და დღეს ჩრდილო ოსეთის სახელწოდებითაა ცნობილი. სტაროვოიტოვას დასკვნა „სამხრეთ ოსეთზე“ აქ არაფრით არ არის გამართლებული.

ერთადერთი ჭეშმარიტება ისაა, რომ „სამხრეთ ოსეთი“ ჩამოყალიბდა მხოლოდ 1922 წელს, ჩამოყალიბდა ბოლშევიკების მცდელობით და წყალობით — ყოველგვარი ისტორიული, თუ იურიდიული საბუთის არარსებობის პირობებში და,ესეც საყურადღებოა, ჩამოყალიბდა 2 წლით ადრე, ვიდრე ნამდვილი ოსეთი მიიღებდა ავტონომიის სტატუსს რუსეთის ფარგლებში.

დამახასიათებელია კულუმბეგოვის შემდეგი სიტყვებიც: „ ოსი ხალხის გენოციდს, სამართლებრივად ზღვარდაუდებელ წამებებს, მძევლებით ვაჭრობას, სადიზმისა და ულმობლობის სხვა აქტებს, — ბოლო უნდა მოეღოს“ / ხაზი ჩემია,შ.ხ./

მთელი ეს „ემოციურად გადატვირთული“ გამოთქმები, ისევე როგორც ამ მოქმედებათა ჯვალიფიკაცია — ესაა „უდიდესი დანაშაულიო კაცობრიობის წინაშე“ — იმითაა ნაკარნახევი, რომ კულუმბეგოვისათვის მართლაც ძნელი ასატანია ჩვენი რესპუბლიკის მცირე დროში მოპოვებული მიღწევები და ის არც თუ სახარბიელო გრძნობებს ვეღარ იკავებს: „სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭო სთვლის, რომ ყველა პარლამენტები, მთავრობები და საზოგადოებრივობა იმ სახელმწიფოებისა, რომლებმაც აჩარებით აღიარეს საქართველოს სუვერენიტეტი, ვალდებულნი არიან აგონ პასუხი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წინაშე“! არც მეტი, არც ნაკლები... ვალდებულნი არიან აგონ პასუხი!.

კულუმბეგოვი არ უფიქრდება — რა ზომის პრეტენზიას აყენებს და არც იმას ითვალისწინებს,. რომ ე.წ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ მხოლოდ არა კანონიერი და „თვითმარქვია“ წარმონაქმნია, რომელიც მხოლოდ მის და მისი მსგავსი ექსტრემისტების ცნობიერებაში არსებობს, და ალბათ ესაა მიზეზი, რომ, ის არც მიუწვევიათ ჰელსინკის კონფერენციაზე და მისი „ყოველმხრივი აღჭურვილობა“ უქმად დარჩენილა.

მაგრამ — რას წარმოადგენდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ გასაბჭოებამდე და ვის ეკუთვნოდა ეს შესანიშნავი კუთხე ისტორიულად?

ცხინვალი და შიდა ქართლის თავადები დიდი ხნის წინ არიან მოხსენებულნი ქართულ საისტორიო მატიანეებში , როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი. უფრო გვიან, როდესაც ვახუშტი ბაგრატიონმა თავისი „ გეოგრაფია“ დაამთავრა, 1745 წელს ცხინვალი ქართველებით, სომხებით და ებრაელებით იყო დასახლებული და წარმოადგენდა პატარა ქალაქს,. სადაც ეს სამი ეროვნების წარმომადგენლები თანაარსებობდნენ. ამგვარი ვითარება გაგრძელდა 1922 წ-დე. ჩემს ბავშვობაში ცხინვალში ქართული, სომხური ეკლესიები და სინაგოგები მოქმედებდნენ, ცხოვრობდა აქ რამდენიმე ოსური და შერეული ქორწინების ოჯახიც.

„სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე განლაგებული სოფლების (და თვით ცხინვალის ტოპონიმები— ქართული წარმომავლობისაა;800-ზე მეტი დღევანდლამდე შემორჩენილი არქეოლოგიური ძეგლის ქართული წარმომავლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ცხინვალი წარმოადგენდა მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრს და მის კულტურულ ცხოვრებაში სამივე ერის წარმომადგენლები ღებულობდნენ მონაწილეობას. სრული გარკვეულობით შეიძლება ითქვას, რომ არავითარი ეთნოკონფლიქტებს ცხინვალში ადგილი არ ჰქონია.

„სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის“ შექმნის შემდგომ — მდგომარეობა არსებითად შეიცვალა და თუმცა ქართველი ხალხის გენოციდს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაცია სავსებით ცხად და დაუფარავ ფაქტად იქცა.

ცხინვალის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა შორის არ იყო არც ერთი ქართველი (ან სომეხი, ან ებრაელი) თანამშრომელი. ამავე დროს, ინსტიტუტი არსებობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსებით. ინსტიტუტის საკვლევო თემატიკაში არ მოიპოვებოდა თემა, რომელიც ამ მხარის ისტორიის საკითხებს გააშუქებდა, ანდა ცხინვალის ეთნიკურ თავისებურებებს გაარკვევდა.

მუზეუმში ნივთების ექსპოზიცია ისეთნაირად იყო აგებული,რომ არ ჩანდა არავითარი კვალი მხარის ისტორიული განვითარებისა. არ ყოფილა გამოფენილი არც ერთ იმ არქეოლოგიურ ძეგლთაგან , რომელთა რიცხვი, როგორც ითქვა, 800-ს აღემატება.

მუზეუმში ვერ ნახავდით ვერავითარ ცნობებს მხარის ისტორიული, ხშირად გამოჩენილი მოღვაწის შესახებ, მაგრამ არ იყო გამოტოვებული არც ერთი ოსური წარმომავლობის მეცნიერების კანდიდატიც კი. არ იყო სურათი ვანო მაჩაბლისა და ჩემს კითხვაზე ამ, რბილად რომ ითქვას, შეუსაბამობის თაობაზე, პასუხი ყოველთვის ასეთი იყო „ОН был князь“

დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი ქალაქის მშენებლობის ორგანიზაციაშიც , სამშენებლო ნაკვეთების განაწილების დროს უპირატესობა ოსური ეროვნების წარმომადგენლებს ეძლეოდათ, ამავე დროს საგრძნობი და დაუფარავი უპირატესობით.

როდესაც ქართველი ხალხის მიერ ჩადენილი „გენოციდის“, „სადიზმის“, „წამების“ და „ულმობლობის“ შესახებ კულუმბეგოვის უპასუხისმგებლო ცილისმწამებლურ სიტყვებს კითხულობ, ძალაუნებურად გახსენდება უკანასკნელ წლებში საქართველოდან ისრაელში გადასახლებული ებრაელების განწყობილებანი, მათი სიყვარული საქართველოსა და ქართველების მიმართ, ღრმა მადლიერების გრძნობა, რომლებიც მათ საქართველოში ათასწლოვანი ცხოვრების ნაიდაგზე ჩამოუყალიბდათ; გაახსენდება მრავალრიცხოვანი სომეხი,აზერბაიჯანელი, რუსი მწერლები და პოეტები, რომლებსაც საქართველოში და ქართველ ხალხთან მჭიდრო ურთიერთობაში გაუტარებიათ ცხოვრება, ანდა ცხოვრების ნაწილი.

იქნება რუს პოლიტიკოსებს მაინც გაახსენდეთ, ვთქვათ, მაიკოვსკი,

Я знаю: глупость эдемы и рай
Но если пелось про это,
Должно быть Грузию,
радостный край,
Подразумевали поэты.

არსებობს ცნობა, რომ მიხეილ ჯავახიშვილს ქართული ენა საკმაოდ დავიწყებული ჰქონდა როდესაც ის მწერლობას ხელმეორედ დაუბრუნდა და დავით კლდიაშვილის რჩევით— თამარაშენში წავიდა, კარგი ქართული რომ შეესწავლა.

ჩვენს გამოჩენილი პროზაიკოსს სამაჩაბლოში ყოფნამ ორმაგი სარგებლობა მოუტანა— ქართული ენა ეცოდინა — ქართველ ... ვლა და ერთი მხატვრ... რისით, სრულყოფილი სახეც შექმნა.

საინტერესოა, როგორ ახსნას მისცემდა კულუმბეგოვი კარგი ქართულის შესწავლის მიზნით „სამხრეთ ოსეთში“ გამგზავრებას და რას მოახსენებდა ამ ფაქტის თაობაზე ჰელსინკის კონფერენციის?

* * *

კულუმბეგოვი ხელსინკში ვერ მოხვდა და მისმა „აღჭურვილობამ“ შედეგი ვერ გამოიღო. სამაგიეროდ მან მოახერხა ზემოქმედება მოეხდინა უბრალო ადამიანებზე, რომლებიც შიდა ქართლში იარაღით იბრძვიან და სისხლსა ღვრიან. სამწუხაროდ მან ისიც მოახერხა, რომ გარკვეული მიმართულებით განეწყო პიროვნებანი, რომლებიც მაღალ ეშელონს ეკუთვნიან და გარკვეული გავლენით სარგებლობენ. ქ-ნი სტაროვოიტოვა“რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველია ეროვნებათაშორისო ურთიერთობის საკითხებში“— ბ -ბი ხასბულატოვი და რუცკოი— მკითხველის წინაშე წარდგენას არ საჭიროებენ.

გაოცებას იწვევს, რომ ისეთ გამოთქმებსაც არ ერიდებიან, როგორიცაა „გენოციდი“ და მისთ., და ჩანს, არცა აქვთ შეგნებული პასუხისმგებლობა, რომელსაც მათ ამგვარი გამოთქმები ეკისრებათ. ამგვარმა უპასუხისმგებლობამ ბევრს აუშალა საღერღელი და ვინმე ფროლოვმა (თუ არ ვცდები) 24 თუ 25 ივნისს ცენტრალურ ტელეგადაცემაში ქართველებთან დაკავშირებით სიტყვა „ფაშიზმიც „არ დაიშურა.

ეს ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს „სიღრმისეულ“ მოტივებთან, რომლებიც ქართველი ხალხის მიმართ ამოქმედებენ და იმდენად მომძლავრდნენ, რომ მათ დაოკებას ვეღარ ახერხებენ ისინიც კი, ვინც თავისი მდგომარეობის მიხედვით მაინც არის ვალდებული მეტი დავდაჭერილობა გამოიჩინოს.

ქ-ნი სტაროვოიტოვა იმდენად ოდიოზური ფიგურაა ჩვენში,რომ მასზე წერა საჭიროებას აღარც წარმოადგენს. საკმაოდ ცნობილია ბ-ნი ხასბულატოვიც.რამდენიმე სიტყა ალექსანდრე რუცკოიზე, რომელიც შეეცადა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევა მაღალი პრინციპებით დაესაბუთებინა “ჩვენ არ დაუშვებთ ადამიანის უფლებების შელახვასო!“

მიმდინარე წლის 17 მაისს „მოსკოვსკიე ნოვოსტში“ /გვ.6—7/ მოცემულია რუსეთის ვიცე-პრეზიდენტის საკმაოდ სწორი პორტრეტი. ლაპარაკია მის მარცხზეც ჩეჩნების და ინგუშების მხარეში; ის მაზეც, რომ დღევანდელი დასავლეთის ნეოლიბერალიზმისაგან ნასესხები დებულება— „ნაკლები სახელმწიფოებრივობა და მეტი ბაზარი“ არანაირად არ აწყობს მას, როგორც სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალს“ ისიცაა ნათქვამი, რომ ის კარგავს თავის რწმუნებებს და, ბუნებრივია, რომ დღეს „ახალი პოზიციების ძიებაში“ იმყოფება. წერილი თავდება შეკითხვით: „იპოვის თუ არა ბოლოდდაბოლოს ვიცე-პრეზიდენტი თავის ადგილს ხელისუფლების სტრუქტურებში?“.

ამ შეკითხვას დღეს შეიძლება გაეცეს პასუხი. რუცკოი აქტიურად ცდილობს მოიპოვოს ადგილი, რუსეთში თუ არა, საქართველოს „სტრუქტურებში“ მაინც, და ეს ცდა ადამიანის უფლებების მაღალი ზნეობრივი პრინციპით გაამართლოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ის ავღანეთშიც ამავე პრინციპებიმთ ხელმძღვანელობდა, როდესაც მასობრივად ჟღლეტდა ხალხს საჰაერო თავდასხმებით.

მაგრამ საბედნიეროდ დღეს ის დრო აღარაა, ავღანეთის ავანტიურა ჩაბარდა ისტორიას და პოლიტიკოსის ერთი აუცილებელი თვისება დროის აღღოს აღების უნარია.

ჩემი წერილი ხალხისადმია მიმართული, პირველყოვლისა ოსი და ქართველი ხალხისადმი. ნუ აჰყვებით პროვოკაციულ განცხადებებს, რომლებიც გზას გიბნევენ და თქვენს აზრებს იქით არ წარმართავენ, საითაც საჭიროა; მივმართავ კეთილი ნების ადამიანებს— იქონიეთ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი წარმოუდგენდა იმ ტრაგედიაზე , რომელიც საქართველოში ... ტრიალებს.

27 ივნისი 1992 წ.

გაზეთ „7 დღის“ რედაქციას

კოლეგებო, პირველ ყოვლისა, მინდა გაუწყოთ ჩემი აზრი (თუ ეს თქვენთვის ღირებული იქნება) თქვენი გაზეთის შესახებ.

„7 დღე“ ერთი იმ გამოცემათაგანია, რომელსაც პატივს ვცემ და მიმაჩნია, რომ ქართული ჟურნალისტიკის მეისტორიე, ჩვენი აფორიაქებული დროის თითო-ოროლა ნამუსიან გაზეთთან ერთად, „7 დღესაც“ მოიხსენიებს.

მაგრამ, ვფიქრობ, არ გაწყენდათ, თუ ერთ რჩევას გაითვალისწინებდით:

როგორც კერძო პირის, ისე მთელი ერისათვის არსებობს **ინტერესი** და არსებობს **ჭეშმარიტება.**

ბედნიერებაა, როდესაც ინტერესი და ჭეშმარიტება ერთურთს ემთხვევა, მაგრამ, ხდება ისეც, რომ ეს უკანასკნელნი ერთმანეთს სცილდებიან.

მაგალითად, ჭეშმარიტებას ემსახურება გაზეთი, როდესაც დეტალებში აღწერს იმას, რაც ამა თუ იმ სხდომაზე ნამდვილად მოხდა, ან ამა თუ იმ პირმა ნამდვილად თქვა.

სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე მე ავდექი და განვაცხადე, ვინც აქ მომხდარ ამბებს გარეთ გაიტანს (ლაპარაკი იყო ქართველ ჟურნალისტებზე) ერის მოღალატე იქნება-მეთქი.

თქვენმა გაზეთმა ჩემი ეს ფრაზა მრავალმნიშვნელოვნად დააფიქსირა...

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჟურნალისტი ვალდებულია, რაც ნახა აღწეროს, საჯაროდ **გაიტანოს**, ჩემი განცხადება, მართლაც რეტროგრადულად გამოიყურება, გაზეთი „7 დღე“ კი ჭეშმარიტების მსახურად. (თუმცა, უნდა ითქვას, რომ საბედნიეროდ, იმ სხდომის ანგარიში თქვენ დეტალურად არ წარუდგინეთ მკითხველს, ანუ ჭეშმარიტებას ბოლომდე არ გაჰყევით)...

ეს ძველი ამბავი, რომლის გამოხმაურება დღემდე არც მიფიქრია, ერთმა გარემოებამ გამახსენა.

თქვენი გაზეთის 16—22 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა მასალა, რომლის შეფასებისის კვლავ ჩამორჩენილი კაცის პოზიციაზე უნდა დავდგე, მაგრამ, ვიდრე ამ მასალას შეგახსენებთ, ჩემი რეტროგრადობის, ანუ „ჩამორჩენილობის“ მიზეზზე მინდა მოგახსენოთ.

როგორც ითქვა, ჭეშმარიტება და ინტერესი ზოგჯერ ან ხშირად, ერთი შეხედვით ერთმანეთს არ ემთხვევა.

მაგალითად, როდესაც ქვეყანა სამამულო ომს ეწევა, როდესაც შინააშლილობა და უკიდურესობამდე დაძაბული ვითარებაა, ხელისუფლების წარმომადგენელთა საუბრების ან მოუზომავი განცხადებების გარეთ გატანა ჟურნალისტის მიერ უნდა ხდებოდეს იმის გათვალისწინებით, ეს აქტი უფრო დაძაბავს თუ არა ვითარებას, გაახარებს თუ არა მტერს და ა.შ.

ჭეშმარიტება მოითხოვს თვალის არ დახუჭვას, ფაქტის არ მიჩქმალვას. ინტერესი, ამ შემთხვევაში, ერის სამართლიანი ინტერესი, მოითხოვს ამა თუ იმ ფაქტის მიჩქმალვასაც კი.

საომარ ვითარებაში რომ ამგვარმა წინააღმდეგობამ შეიძლება იარსებოს, ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ერის ინტერესის მიხედვით ქმედება, ვიმეორებ, **თუ იგი სამართლიანია**, საბოლოოდ ჭეშმარიტებისათვის ბრძოლას ნიშნავს.

ამდაგვარად იხსნება ხელოვნური წინააღმდეგობა ამ ორ ცნებას შორის.

ამ არცთუ მოკლე შესავლის შემდეგ, იმ მასალას მოვუბრუნდები, რომელიც თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა.

ვგულისხმობ ინტერვიუს ბატონ თენგიზ კიტოვანთან.

ჭეშმარიტება მოითხოვდა გაზეთს დაეფიქსირებინა ის, რაც თენგიზ კიტოვანმა უთხრა თქვენს კორესპონდენტს, მაგრამ, არა მგონია, ერის ინტერესი მოითხოვდეს დღეს, როცა ომი კვლავ მძვინვარებს, **გაზეთის საშუალებით** მტყუან-მართლის ძიებას.

ჟურნალისტებმა მოვახერხეთ ის, რომ თავდაცვის მინისტრი უკიდურესობამდე აღვაშფოთეთ ცალკეული პარტიებისა თუ პიროვნებების მიერ მის მიმართ წაყენებული ხშირად უსამართლო ბრალდებების საჯაროდ გამოტანით. ახლა კი აღშფოთებული მინისტრის გაავებულ საპასუხო სიტყვებს ვბეჭდავთ საჯაროდ, და თუ ასე გაგრძელდა, სულ აირევა მონასტერი. მერმე მტყუან-მართლის გარჩევის საშუალებაც აღარ გვექნება, რადგან ჩვენს მიწაზე მტერი იბოგინებს.

ბატონი თ.კიტოვანი ბრძანებს: „აი, სწორედ ესენი გამორბოდნენ, თქვენ რომ გვარდიელები გგონიათ. 102-ე ბატალიონი, რომელიც ყველას პირზე აკერია, მოხალისეებისაგან შედგებოდა. მოხალისებისაგან შეკოწიწებულ არმიას კი სად გაუმარჯვია, რომ აქ გაემარჯვა?“

16 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში მოვიდნენ 102-ე ბატალიონის წევრები: ვაჟა გომელაური, გიგა ბაზაშვილი, ნუგზარ რაზმაძე, დავით გავაშელი, ფარნაოზ თოდრია, ვახტანგ კოპალეიშვილი და სხვები, რომელთა აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, რომელთაც გაიხსენეს 102-ე ბატალიონიდან დადუპული ბიჭები ზაურ ყვავაძე და ვაჟა ბახუტაძე, გაიხსენეს და ბრძოლები გაიხსენეს ბრძოლებიდა მათი აღშფოთების დაცხრომა ... ალისხმევის შედეგად ...

ლაჩარი 102-ე ბატალიონშიც იქნებოდა და სხვაგანაც, მაგრამ ასე კრებითად საუბარი რას გვაძლევს? რას ვერჩით იმ ბიჭებს, ვინც თავი გადასდო? საერთოდ, ბატონი თ.კიტოვანი ბევრ რამეში გულწრფელი და მართალი ჩანს, ეტყობა მის გულისწყრომას ღალატის შესახებ საფუძველი აქვს, მაგრამ მე ვეკითხები ჩვენს ჟურნალისტებს, არა მარტო „7 დღისას“, არამედ ყველას, რას გვაძლევს დღეს მტყუან-მართლის ძიება **გაზეთების მეშვეობით**? ვიმეორებ, გაზეთების მეშვეობით?

სამხედრო პრობლემები შიგნით სამხედროთა და ხელისუფალთა წრეში უნდა გადაწყდეს გაუხმაურებლად, საჯაროობის გარეშე (გახმაურების დრო მალე დაგვიდგება).

გაზეთმა დღეს მხოლოდ დადასტურებული მოღალატე უნდა ამხილოს. გაზეთმა გმირები უნდა ადიდოს.

გაზეთი, რადიო და ტელევიზია დღეს, ომის დროს, ისე უნდა მუშაობდეს, როგორც საქართველოს ინტერესს წაადგება და არა იმის შიშით, რომ კიტოვანის ან იოსელიანის სიტყვის შეცვლა არ შეიძლება. შეიძლება, სწორედაც შეიძლება, რადგან პირველიცა და მეორეც ხშირად არსათქმელს ამბობენ!

პატივისცემით

ნოდარ გრიგალაშვილი

თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსს
ბატონ ნუგზარ ნავაძეს

ბატონო ნუგზარ, მოგმართავთ მთელი დიდი დიღმის გადაღლილი, გაწამებული, ჯიბეგამოცარიელებული მცხოვრებლების სახელით და თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ შემდეგ ფაქტს:

იმ შემთხვევაში, როცა ხაზზე არ არიან გამოსული ორ მანეთად ღირებული 214-ე, 215-ე ექსპრეს-ავტობუსები და აგრეთვე 31-ე, 223-ე ავტობუსები — ეს კი, ალბათ თქვენც დაგვეთანხმებით, ძალზე ხშირად ხდება — ამ გარემოებით უმალ ისარგებლებენ ხოლმე კერძო სამარშრუტო ტაქსები და დიდი დიღმიდან დიდუბის მეტრომდე 20 მანეთს გვახდევინებენ, თანაც თავს იმართლებენ, რა ვქნათ, ბენზინს ჩვენი ჯიბიდან ვასხამთო. ახლა თავად განსაჯეთ, დღეში ერთხელ ქალაქის ცენტრისკენ გასვლა და უკან დაბრუნება რა დაუჯდება ერთი პატარა ოჯახის თუნდაც ორ წევრს, უფრო მრავალსულიან ოჯახებზე რომ აღარაფერი ვთქვათ (ერთ ადამიანს იქით და აქეთ 40 მანეთი უნდა, ორს — 80 და ა.შ.). დღევანდელი სიდუხჭირის პირობებში განა ბევრია ისეთი ოჯახი, ვთქვათ ორსულიანი, რომელიც 2400 მანეთს თვეში მხოლოდ სამარშრუტო ტაქსებით სამგზავროდ გამოჰყოფს? არადა, ფეხითაც ყოველთვის არ ხერხდება ამ თორმეტი თუ თოთხმეტი კილომეტრის გავლა დიდუბის მეტრომდე, სხვა თუ არაფერი, დროის უქონლობის გამო.

ჩვენ გვესმის, რომ ექსპრეს-ავტობუსების ხაზზე გამოუსვლელობას საწვავისა და სათადარიგო ნაწილების უქონლობით ახსნით, მაგრამ ჩვენთვის, დიდი დიღმის მცხოვრებთათვის გაუგებარია, — რა საჭიროა 214-ე, 215-ე ექსპრეს-ავტობუსებისა და № 223 ავტობუსის ამსიგრძე მარშრუტები? — პირველნი დიდი დიღმიდან კოლმეურნეობის მოედნამდე დადიან, 223-ე კი — უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსამდე. თუ საწვავის დაზოგვა გინდათ, იქნებ დროებით მაინც დიდი დიღმის ყველა ტრანსპორტმა მხოლოდ დიდუბის მეტრომდე იაროს — ამით ჩვენც შვებას ვიგრძნობთ — 20 მანეთის მაგიერ ორ მანეთს გადავიხდით ადამიანურად.

დიდი დიღმის მცხოვრებნი
(სულ 159 ხელმოწერა)

ვიქტორ ჯაშარიძე

ძმაო ვიქტორ, 6 ოქტომბერი ხომ შენი დაბადების დღეა. ამ დღეს 18 წელი შეგისრულდებოდა, რომ არა ის საბედისწერო შემთხვევა.

გვენატრები ძმაო,ძალიან გვენატრები რა მოულოდნელად დაგვატეხე თავზარი და დაგვწყვიტე გული ყველას,შენს ბებიას,მშობლებს,დებს,ძმას. ჩვენო თბილო, ზრდილობიანო, ალალო, ამხანაგებისა და ნათესავების მოყვარულო, ჭკვიანო ბიჭო.

შენი სიკვდილით დაამწუხრე მთელი კუთხე და ნათესაობა.ჩვენ დიდი მადლობელი ვართ ყველასი, ვინც გაჭირვების ჟამს გვერდით დაგვიდგა და ჩვენი მწუხარება გაინაწილა.

ჩვენ ყველას გვინდა სიცოცხლე იმისათვის, რომ არასოდეს მოვაკლოთ მზრუნველი ხელი და ცოცხალი ყვავილები შენს საფლავს.

იძინე მშვიდად, ნათელში ყოფილიყავი ჩვენო ალალ-მართალო ბიჭო.



რომანი და ლელა

ნომერში წარმოდგენილი ფოტოების ავტორია ჯემალ კასრაძე, ხოლო კარიკატურებისა — მურთაზ აბაშიძე

ინდექსი 66447

ფასი 5 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილე: 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოწმული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
ნოდარ
გრიგალაშვილი